# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | შაბათი, 4 ოქტომბერი 1919 წ. № 214 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73



კვირას, ოქტომბრის 5

კნ. იულია ივანეს ასული

ბარათოვის

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე და მისი ქალების

კნ. ბარბარე დავითის ასული

ბაგრატიონ-დავითაშვილის

და

კნ. ნატალია დავითის ასული აბალიშვილის

გარდაცვალებიდან წლის თავზე წმ. დავითის ეკლესიაში გარდაცვალებულთა სამარეებზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები და შვილის შვილები პირველის, ქალი მეორის და ძმანი უკანასკნელის.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 2587 1—1

კვირას, ოქტომბრის 5

კნ. ნატალია დავითის ასული აბალიშვილის

გარდაცვალებიდან წლის თავზე, წმ: დავითის ეკლესიაში გარდაცვალებულის სამარეზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე თ. ილია ნიკოლოზის ძე დედით, კნ. მარიამ გიორგის ასული ძმით, თ. ვასილი ნიკოლოზის ძე მეუღლით.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე 2588 1—1

ოპერა ს ი. ევლახიშვილისა. პირველი აბონენტის პირველი სპექტაკლი

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 4 ოქტომბერს სეზონის გახსნა: ბახუტაშვილისა, ვიშემირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ჭუმბურიძეს მონაწილეობით, ქართული ორგინალური ოპერა ზ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

დასდგამს წუწუნავა, დირიჟორობს ავტორი. კვირას, 5 ოქტომბერს რისის, ვიშემორსკაიას, მარკოვის, ისეცკის, პოლიანოვის მონაწილეობით „ჟიდოვკა“, ორშაბათს, 6 ოქტომბერს ვოლ-ლევიცკაიას, გლაზის, იანსას, ზალიპსკის, ინაშვილის, ისეცკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი“. სამშაბათს, 7 ოქტომბერს, შულგინას, (ბახუტაშვილის) ხირინას, სარაჯიშვილის, პოლიაევის, ისეცკის მონაწილეობით „დემონი“. კასა ღიაა დილის 11 - 2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ. სპექტაკლის დასაწყისი სრულ 7 ნახევარ საათზე. 2—195—2

სახელმწიფო თეატრი.

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პირველ აბონიმენტზე ჩაწერილ პირებს შეუძლიანთ მიიღონ აბონიმენტები თეატრის კასაში ოქტომბრის 2-დან.

კასა ღიაა იქნება დილის 10-დან 2-დის და საღამოს 6-დან—8-დის.

პირველი აბონიმენტი ოქტომბრის 4-ს „აბესალომ და ეთერ“

პალატის საზოგადო კრება

29 ენკენისთვეს შესდგა სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც მოისმინა მოკლე ანგარიში შესახებ პალატის კომიტეტის მოქმედებისა, დაამტკიცა პალატის სასკოლო გეგმა, დამატებითი ხარჯთაღრიცხვა და შეიტანა პალატის წესდებასა და საარჩევნო ინსტრუქციაში ზოგი ცვლილებანი და დამატებანი. თანახმად ამ ცვლილებისა, პალატაში აირჩევა კიდევ 20 წევრი და 5 კანდიდატი. არჩევნები მოხდება მთელ საქართველოში ამას შემდეგ, როცა წესდებაში შეტანილი ცვლილებანი დამტკიცდება ფინანსთა და ვაჭარ-მრეწველობის მინისტრის მერ. 197 1—1

ქართულ-იტალიური სავაჭრო საზოგადოება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თაოსნობით 1 ღვინობისთვეს პალატის ბინაზე შესდგა კრება ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა, რომელსაც დაესწრო წარმომადგენელი იტალიის დიდი ფინანსიურ წრეებისა ბ-ნი კორსი, კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ქართულ-იტალიური სავაჭრო სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც ძირითადი თანხად ექნება 10 მილიონი იტალიური ლირა. დასასრულ არჩეულ იქმნა საორგანიზაციო კომიტეტი. აირჩიეს: ვასილ ტერ-ზახაროვი, იოსებ გველესიანი, იოსებ ელიგულაშვილი, იოსებ დადიანი და რაჟდენ დუმბაძე. 197 1—1

განცხადება.

თბილისის და მისი რაიონის მებაღეთა კავშირი

იწვევს ყველა ბაღების პატრონებს და მოიჯარადრეებს

საერთო კრებაზე

სამშაბათს, 7 ოქტომბერს, დღის სამ საათზე ძირთაჭალაში (ვარანცოვის ქუჩა, ი. შუბლაძის ბაღი). გასარჩევია საკითხი იჯარის მომატების შესახებ.

2586 1—1 მებაღეთა კავშირის თავმჯდომარე ი. შუბლაძე

მეორე ქართული კლუბის მმართველთა საბჭო

ამით აცნობებს კლუბის წევრთ, რომ გაგრძელება საგანგებო წევრთა ყრილობისა დანიშნულია შაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ. განსახილველი საგნები:

1. საკითხი საზამთრო ბინის შესახებ.

2. არჩევანი სარევიზიო კომისიის ზოგიერთა წევრთა და სხვა საკითხები, რომლებიც აღიძრება. 1—198—1



## ქართული ლატარია.

საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება მჭიდროთ გაიდგამს ფესვებს როდესაც იგი კულტურულად განვითარდება.

კულტურული განვითარების საწინდარი კი იქნება ქართული უნივერსიტეტის და თეატრის აშენება.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები. 196 1—1


## გენ. ჰარბორდის ჩამოსვლისათვის

ამერიკიდან საქართველოში ჩამოვიდა და გუშინ მთავრობას წარუდგა საგანგებო მისია გენ. ჰარბორდის მეთაურობით.

გენ. ჰარბორდს აქვს სპეციალური დავალება ზედმიწევნით გაეცნოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა და ოსმალეთის სომხეთის მდგომარეობას და ყოველ მხრივ დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს ამერიკის პრეზიდენტს, რომელიც ამ მოხსენებით იხელმძღვანელებს აღმოსავლეთის საკითხების გარდაწყვეტის დროს.

გენ. ჰარბორდის მისიის შესახებ ძალიან ბევრს სწერდენ, როგორც ევროპის ისე ოსმალეთის გაზეთები და რომ ამ მისიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სჩანს იქიდანაც, რომ მას მეთაურობს გენ. ჰარბორდი, რომელიც ამ ომის დროს ამერიკის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი იყო და ძალიან დიდი როლი ითამაშა, როგორც ომში, ისე საზავო კონფერენციის მუშაობაში, როგორც ამერიკის დელეგაციის მრჩეველმა სამხედრო საქმეებში.

გაზეთებში აგრეთვე იყო ცნობა, რომ ამიერ-კავკასიაში წამოსვლისას გენ. ჰარბორდმა დიდხანს ითათბირა ამერიკის საზავო დელეგაციის მეთაურთან პოლკ. პოლკთან, რომლისაგან მიიღო გარკვეული დირექტივები თავის მუშაობაში სახელმძღვანელოთ.

ყველა ეს ფაქტები გენერალ ჰარბორდის მისიას აკუთვნებს საგანგებო ხასიათს და მას მუშაობას, უნდა ვიფიქროთ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. ჩვენთვის, ქართველებისათვის ეს მისია განსაკუთრებით საყურადღებოა მით, რომ საქართველოს შესახებ ევროპაში და ამერიკაში ძალიან ცუდი ინფორმაცია არის, რაც საშუალებას უსპობს ანტანტის პასუხისმგებელ მოღვაწეთ სწორი წარმოდგენა იქონიონ ჩვენი საქმეების შესახებ.

სხვა ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, მარტო გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პიშონის განცხადების შესახებ საფრანგეთის პარლამენტში, საქართველოსა და აზერბაიჯანის შესახებ, რომელიც, თითქოს ომს აწარმოებდენ რუსებთან და სომხებთან და რაღაც „ფარულ კავშირში“ იყვნენ ოსმალეთთან, ამგვარად ამტკიცებს თუ რა ყალბი და ცალმხრივი ინფორმაცია არსებობს ჩვენს შესახებ ანტანტის ქვეყნებში, მიწოდებული ჩვენს მოწინააღმდეგეთა მიერ.

ამ მხრივ ფრიად სასიამოვნოა, რომ ამერიკის წარმომადგენლად აქ მოვიდა ისეთი პიროვნება, რომელიც პირდაპირ იხილავს არსებულ მდგომარეობას და ადგილობრივ გაეცნობა ყველა იმ საკითხებს, რომელნიც უნდა აინტერესებდეს ამერიკის პოლიტიკის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ წარმომადგენლათ ჩვენში მოვიდა ისეთი პიროვნება, რომელიც მაღალი ავტორიტეტით არის აღჭურვილი და განსაკუთრებული ნდობით, რომ ყველაფერი რასაც იგი აქ ნახავს და გაიგებს დამაჯერებელი იქნება მისი მთავრობისათვის.

თვით ფაქტი ისეთი პიროვნების გამოგზავნისა, როგორც გენ. ჰარბორდია, გულისხმობს ამერიკის მაღალ ყურადღებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისადმი, რომელთაც ყოველთვის ჰქონდათ ამის იმედი.

ოკეანეს იქით მდებარე სახელმწიფო, პირველთაგანი იყო ერთა თავისუფლების დაცვის საქმეში და ამ ლოზუნგით დაიმკვიდრა ყველა დამონებულ ერთა სიმპატია ამ ომში,—შეუძლებელია, რომ ყურადღებით არ განიმსჭვალოს ჩვენი პატარა ერის მოთხოვნილებისადმი თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობისათვის.

ამერიკა, რომელმაც საზავო კონფერენციაზედ ხმა აიმაღლა თავის მოწინააღმდეგე ბულგარეთის და ავსტრო-უნგრეთის დასაცავადაც კი, რომ ამით სამართლიანობა დაეცვა, შეუძლებელია, რომ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წავიდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა, რომელთა დროშაზედ მათი დაარსებისთანავე დაიწერა მშვიდობიანობა და მუდმივი ნეიტრალიტეტი.

გენ. ჰარბორდი ჩვენი სახელმწიფოს გაცნობისას უეჭველად დარწმუნდება, რომ საქართველომ თავისი ერთი წლის დამოუკიდებელი არსებობით დაიმტკიცა თავისი უფლება.

თუ დღეს დღეობით საქართველო ძლიერად გრძნობს სოციალისტურ გავლენას და თავის შინაურ ცხოვრებაში სავსებით არ არის ჩამდგარი მტკიცე სახელმწიფოებრივი მუშაობის კალაპოტში, ეს აიხსნება მით, რომ საქართველოს თავისუფლება იშვა რუსეთის რევოლუციისაგან, რომელსაც არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა ჩვენს ცხოვრებაზედ; მაგრამ საქართველო, თითქმის ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც თავი გადირჩინა იმ ბოლშევიკური ცეცხლისაგან, რომელმაც შთანთქა ძველი რუსეთის ნაწილები რაც გარანტიას იძლევა იმისას, რომ მომავალში საქართველო მალე შევა იმ მშვიდ სახელმწიფოებრივი მუშაობის ხანაში, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობას, მეურნეობის განვითარებას და საერთო ეკონომიურ კეთილდღეობას, რის საშუალებას მოგვცემენ ის ბუნებრივი სიმდიდრენი რომლითაც უხვად არის დაჯილდოვებული ჩვენი ქვეყანა.

გენ. ჰარბორდი დარწმუნდება იმაშიც რომ საქართველოს მუდმივი წადილი იყო და არის მშვიდობიანი და კეთილ-მეზობლური განწყობილება და ამყაროს ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და არავითარი აგრესიული მიზნებით არავისადმი გამსჭვალული არ არის.

გენ. ჰარბორდი გაეცნობა ძველ საქართველოსაც და ნახავს, რომ ჩვენს სახელმწიფოებრიობას მოხუცი ისტორია აქვს, ძალით შეწყვეტილი და კვლავ განახლებული, რომელიც მომავალში დაემყარება თავის ძველ ტრადიციებს.

და როდესაც ყველაფერს ამას, ამერიკის დესპანი პირადათ შეიცნობს, შეუძლებელია, რომ თავისუფლების და სამართლიანობის დამცველი სახელმწიფოს შვილი, უარყოფითი გრძნობით განიმსჭვალოს ჩვენი ერის და სახელმწიფოებრიობის მიმართ.

## „დემოკრატიული სენატი“

მმართველი პარტიის ოფიციოზი გვეკამათება სენატის შესახებ. სამწუხაროდ „ერთობის“ ხელმძღვანელთ იმდენად თავისებური შეხედულობა შეუდგენიათ, რომ ძნელია რის დაარსებას ჰფიქრობენ – რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, კანონიერებისა და სამართლის დარაჯს, თუ ახალს რევოლიუციონურ იაჩეიკის, რომელიც „გაიგებს ხალხის გულის ნადებს და მიაგნებს ცხოვრების წიაღში ჩამარხულ იდეას სამართლიანობისას, რომელიც შედეგია ამ ცხოვრების დუღილის, მის შიგნით გამართული ბრძოლის.“

„ხალხის გულის ნადების“ გაგება კი არ ევალება სენატს, ბ. ბ. „ერთობის“ ხელმძღვანელნო, არამედ კანონის გაგება. „ხალხის გულის ნადების“ გასაგებათ სხვა ორგანოები და დაწესებულებანი გაქვთ გამართული და ამ „გულის ნადების“ გაგება, რასაკვირველია, არ გაგიძნელდებოდათ, თქვენ რომ მას ანგარიში უწევდეთ. ასევე ცხოვრების წიაღში ჩამართული ბრძოლა და დუღილი არ შეიძლება რომ ყველა დაწესებულება ქალაქად თუ სოფლად, სასამართლო ადმინისტრაცია თუ სხვა ამ „დუღილში იხარშებოდეს. აქედან არაფერი კეთილი არ გამოვა“.

„ერთობა“ ჰფიქრობს, რომ, სენატის შექმნაში, როგორც აგრეთვე სხვა თვის მოქმედებებში სოციალისტური პარტიები „ახალს პრინციპებს და ახალს გზებს ეძიებს ხალხის ტკივილების დასაამებლად“. სერიოზულ ორგანოს, რასაკვირველია არ შეეფერება ასეთი დემაგოგიათ დასაბუთება, ამოდენად სერიოზული საკითხისა. ყველამ კარგად უწყის რამდენად დააამა ხალხის ტკივილები ჩვენი სოციალისტური პარტიების მოღვაწეობამ და სენატიც თუ ამ გზით უნდა წავიდეს, „ერთობის“ აზრით, ვეჭვობთ, რომ ამან ვინმე გაახაროს გარდა ჩვენი ხალხის იმ ფრიად მცირე ნაწილისა, რომელიც მმართველ პარტიის კალთას ქვეშ არის თავშეფარებული და სხვის ტკივილებს ვერ აამებს, ხოლო თავისას კი ფრიად კარგად:

ამ საკითხში დიდი მიკიბ მოკიბვა არ გამოდგება, საკითხი ასეთი დგას: უნდა შეიქმნეს უმაღლესი სასამართლო ორგანო, რომელიც იქნება კანონის დამცველი ყოველგან და ყოველს შემთხვევაში, სულ ერთია კანონს საფრთხე მოევლინება მარჯვენა თუ მარცხენა მხრიდან. სურთ თუ არა ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ხელმძღვანელთ ასეთი ორგანოს შექმნა?

კანონები ძველია, უვარგისია, ახალი დემოკრატიული წყობილებისათვის შეუფერებელი და მისი გადასინჯვა კი დიდს დროს მოითხოვს. მაშასადამე საჭიროა, რომ სენატი იყოს „თუ გნებავთ შემოქმედი უფლებისა, ახალი უფლების, ახალი პრაქტიკის“. ასეთი უნდა იყოს „ერთობის“ აზრით ახალი, „დემოკრატიული“ სენატი. მაშინ რა მიზეზია მთავრობა და საკანონმდებლო ორგანოები? „ერთობის“ აზრით, უკეთუ 16 ტომის ყველა მუხლების გადასინჯვა ჩვენ დღეს არ შეგვიძლია, საჭიროა რაღაც უცნაური სენატის შექმნა. რასაკვირველია, ახალი სენატი ძველი ტომებით ვერ იხელმძღვანელებს, როდესაც ეს კანონები ეწინააღმდეგება ახალს კანონებს, ანუ ისეთს ძირითად თავისუფლებებს როგორიცაა თავისუფლება სიტყვის და კრების, თანასწორობა და წოდების გაუქმება, სინიდისის თავისუფლება და სხ., რომელნიც შეადგენენ ჩვენი ახლანდელი წყობილების საფუძვლებს.

ასეთს შემთხვევაში ახალს სენატს დასჭირდება კანონის განმარტება და ახსნა ისე, რომ მათი განმარტება ჩვენი რესპუბლიკის ძირითად უფლებებს არ ეწინააღმდეგებოდეს. განა ეს ასევე არ იყო წინათაც? განა პეტრე დიდის დროს გამოცემული კანონები, რომლებითაც აღვსილია რუსეთის კანონების ტომები ყოველთვის შეთანხმებულნი იყვნენ პეტრე დიდის შემდგომ შექმნილ პოლიტიკურ ურთიერთობასთან? რასაკვირველია არა და რუსეთის სენატიც ამ შემთხვევაში იქცეოდა ისე როგორც უნდა მოიქცეს ახალი სენატი. არხაული კანონი მის განმარტებაში ადგილს დაუთმობს შემდეგომ შექმნილს ნორმებს.

ამ გზით ვერ დასაბუთდება ჩვენი სოციალისტური პარტიების დამოკიდებულება სენატთან.

„ჩვენი ლოზუნგია—დემოკრატიული სენატი!“ გაიძახის „ერთობა“. მერე რა? ვინ არის ამის წინააღმდეგი? ჩვენი ლოზუნგიც ასეთია. დემოკრატიულ სახელმწიფოში დემოკრატიული უნდა იყოს სახელმწიფოს ყველა ორგანოები და თვით სენატიც! მაგრამ საქმე ის არის როგორ უნდა გვესმოდეს ეს „დემოკრატიული“? თუ მივიღებთ ამ მცნებას იმ მნიშვნელობით, რომელიც მას მიუღია და აქვს ყველა დაწინაურებულს ქვეყნებში, თქვენი შექმნილი არც ერობაა დემოკრატიული, არც ქალაქთა მმართველობა, არც ადმინისტრაცია, და არც ეხლა სენატი. თქვენი დაწესებულებანი ისევე ბიუროკრატიულია, როგორც წინათ, ხოლო განსხვავება ის არის, რომ ახალი ბიუროკრატია აღჭურვილია ძველი ბიუროკრატიის ყველა ცუდი თვისებებით და მოკლებულია იმ დადებით თვისებებს, რომელნიც მათ ჰქონდა: საქმის ცოდნა, გამოცდილება და ერთგვარი პასუხისმგებლობის შეგნება.

სად არის ჩვენში ნამდვილი დემოკრატიული ურთიერთობა—ისეთი ურთი-ერთობა, როდესაც კანონისა და მმართველობის წინაშე ყველა თანასწორია, როდესაც ყველასი ცოდნა და გამოცდილება ერთნაირად ფასდება, როდესაც პასუხისმგებლობა კანონის წინაშე ყველა მოხელესათვის სავალდებულოა? ასეთი დემოკრატიული გვინდა ჩვენ, როგორც ყველა სხვა დაწესებულება, აგრეთვე სენატიც.

მაგრამ, როგორც სჩანს, ეს მიუღებელია ჩვენი სოციალისტებისათვის. მათ უნდათ „დემოკრატიული“ ისე, როგორც თვითონ ესმისთ.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკითხი საფრანგეთის დეპარტამენტში

სეკტემბრის 9-ს „ტემპს“-ში დაბეჭდილია შემდეგი: დეპუტატი მონზი შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს, თუ როგორ პოზიციას ადგია ამ ჟამად საფრანგეთის მთავრობა კავკასიის რესპუბლიკების, საქართველოს და აზერბაიჯანის მიმართ, რომლებიც დეპუტატის სიტყვით, შექმნილნი არიან ხალხის ერთსულოვანებით, რომელთაც აქვთ კონსტიტუცია, დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი. საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა შემდეგი:

1. კავკასიის რესპუბლიკები იურიდიულად საფრანგეთის მთავრობის მიერ ცნობილნი არ არიან.

2. საფრანგეთის მთავრობამ ფაქტიურად ეს რესპუბლიკები არ იცნო. კავკასიაში მეტად არეულია და მერყევი მათი მდგომარეობა.

ასე რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა არსებობა, ამ ჟამად დროებულს ჰგავს. რაც შეეხება საქართველოს, იგი ებრძვის რუსებს და სომხებს.

3. საფრანგეთის მთავრობა დიდ სიმპატიებს იჩენდა ამიერ კავკასიის მცხოვრებთადმი. თანახმად ტრადიციის და საფრანგეთის ინტერესების ამ მხარეში კავკასიის სხვა და სხვა მთავრობათა დელეგაციებს მიეცათ ნებართვა პარიზში მოსვლისა. საფრანგეთის მთავრობას თავისი წარმომადგენელი ჰყავს ბაქოს, ბათომს და თბილისში. თბილისშივე იმყოფება საფრანგეთის სამხედრო მისია, რომელიც იქმნა გაგზავნილი ჯერ ისევ მაშინ, ვიდრე სეპარატიული მოძრაობა დაიწყებოდა.

4. არსებულ პირობებში კავკასიასთან ურთიერთობა გაძნელებულა. საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლიან ურთიერთობა იქონიოს კავკასიის სხვა და სხვა რესპუბლიკებთან, მაგრამ ამ ჟამად მიღებულია ზომები, რომ აღდგენილ იქმნეს საფოსტო და სატელეგრაფო ურთიერთობა.

საფრანგეთის მთავრობა სცდილობს გაადვილოს შეძლების დაგვარად ეკონომიური გაცვლა გამოცვლა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან.

# უკანასკნელი ცნობები

საზავო კონფერენციამ მოიწონა ზოგიერთი ცვლილებები ზარალის ანაზღაურების შესახებ, ხელშეკრულებაში შესატანად.

ვერსალის ხელშეკრულების მიღების შემდეგ პალატის სხდომები შესწყდება.

უმაღლესი საბჭო ბოლშევიკურ რუსეთს ბლოკადას არ ხსნის.

ზემო სილეზიას ავტონომია ენიჭება.

ბოლშევიკები ყველა ფრონტებზე შეტევას განაგრძობენ.

## გენერალ ჰარბორდის ჩამოსვლა

გ ზ ა ზ ე დ

2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ორთაჭალის გზით ხუთი ავტომობილით თბილისში ჩამოვიდა გენ. ჰარბორდი თავისი ამალით. ორთაჭალაში მას შეხვდა ქართველი ცხენოსანი რაზმი, რომლითაც ჰარბორდი ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

აქედან მთელ გზაზე პოლკ. ჰასკელის ბინამდე ქუჩების ორივე მხარეს ჩამწკრივებულნი იყვნენ მილიციონერები. გზაში რამოდენიმე ადგილას უკრავდა სამხედრო მუსიკა. ჰასკელის ბინასთან გენერალ ჰარბორდს შეხვდა ქართველი ჯარის ქვეითი ნაწილის საპატიო ყარაული. აქ მას საქართველოს მთავრობის სახელით მიესალმა დავ. ღამბაშიძე.

**გენ. ჰარბორდის ჩამოსვლის მიზანი.**

გენერალი ჰარბორდი წარმოგზავნილია ამერიკის პრეზიდენტ ვილსონის მიერ, რომელსაც მინდობილი აქვს, გაეცნოს ამიერ კავკასიის დღევანდელ მდგომარეობას და სათანადო მოხსენება წარუდგინოს მას. ჰარბორდი ამერიკაში ცნობილი პირია და დანიშნულია ამერიკის მთავარ-შტაბის უფროსად.

**დარბაზობა მთავრობასთან.**

სამ ოქტომბერს ჰარბორდი პოლკოვნიკ. ჰასკელთან ერთად თავისი ამალით სადარბაზოდ იყო სასახლეში, სადაც ინახულა მთავრობის თავმჯდომარე და გაეცნო ყველა მინისტრებს.

ამის შემდეგ მან დაათვალიერა სასახლე, სასახლის ბაღი და დამფუძნებელ კრების დარბაზი, სადაც მას შეხვდა დამფ. კრების პრეზიდიუმი, სადაც მოკლე სიტყვით მიესალმა თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე. ჰარბორდმა მას მადლობა გადუხადა და დამფუძნებელ კრებას უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

**გენ. ჰარბორდის ბაქოში წასვლა.**

ჰარბორდი დღეს 4 ოქტომბერს მიემგზავრება ბაქოს საგანგებო მატარებლით. მასთან ერთად მიემგზავრება ბაქოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ბ. ალშიბაია.

## საქართველოს მთავრობის ნოტა დაღესტნის ამბების გამო

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ოქტომბრის 2-ს შემდეგი ნოტით მიმართა ამიერ-კავკასიაში მყოფ უმაღლეს კომისარს პოლკ. ჰასკელს, ბრიტანიის უმაღლ. კომისარს ბ. უორდროპს, იტალიის მისიის მეთაურს გამბას, საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურს და საბერძნეთის მისიის უფროსს: დაღესტნისა და ჩრდილო-კავკასიის საზღვრებში ყოფილ მთის ხალხთა კავშირის ტერიტორიაზე სწარმოებს სისხლის მღვრელი ამბები, რომელსაც შესაძლოა დიდი შედეგები მოჰყვეს.

ამ ჟამად მოხალისეთაგან დაპყრობილ ამ ოლქების მთელი ხალხი აჯანყდა მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ და მათ შორის მკაცრი ბრძოლა სწარმოებს.

ეჭვი არ არის რომ ამ აჯანყების ჩაქრობის მიზნით მოხალისეთა სარდლობა დაიწყებს შეტევას, რაიც გამოიწვევს სისხლის ღვრას სოფლებისა და ქალაქების განადგურებას და მთელი ხალხის განადგურებას. არ შეუძლიან ამ ამბებს ანარქია არ გამოიწვიოს მთელ მხარეში, რაც დამღუპველი იქნება არა მარტო ადგილობრივ მკვიდრთათვის კერძოდ, არამედ მეზობელ რესპუბლიკათა და ძოდ საქართველოსთვისაც, სადაც ამ ანარქიას შეუძლიან გადავიდეს. საქართველოს მთავრობა შიშით ადევნებს თვალყურს ამ ამბებს და არ შეუძლიან გულცივად შეჰხვდეს მას, რადგან მეზობლად გაზრდილი ანარქია სერიოზული საფრთხე შეიქმნება საქართველოს სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობისათვის. ხელმძღვანელობს, რა მ მოსაზრებით, საქართველოს მთავრობა პროტესტს აცხადებს საკითხების იარაღის ძალით გადაწყვეტის ცდისათვის და გთხოვთ საქმეში ჩარევით ბოლო მოუღოთ ამ მხარეში მძვინვარე სისხლის მღვრელ ამბებსა და ანარქიას. და აგრეთვე ზომები მიიღოთ, რომ მღელვარების გამომწვევი საკითხები გადაჭრილ იქმნას არა იარაღის საშუალებით, არამედ ხალხის მიერ თავისუფალ ნებისყოფის გამოთქმისა და მათი თვითგამორკვევის უფლების პრინციპის განხორციელების გზით.

გარეშე საქმეთა მინისტრი **ე. გეგეჭკორი.**

## სამინისტროებში

### განათლ. სამინისტროში

**სწავლა-განათლების საქმის მოგვარება ახალციხის მაზრაში**

სახალხო განათლების სამინისტრომ ახალციხის მაზრაში გაგზავნა თავისი რწმუნებული მაზრაში სწავლა განათლების საქმის მოსაგვარებლად რწმუნებულს დავალებული აქვს, გამოარკვიოს იქაური სკოლების მდგომარეობა და ახალი სკოლების გახსნის საჭიროება და სხვ.

**სტუდენტთა მდგომარეობის გამორკვევა**

განათლების სამინისტრო შეეკითხა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირს, აცნობონ სამინისტროს, თუ რა უჯდება თვითეულ სტუდენტს ცხოვრება თვიურათ.

### შრომის სამინისტროში

**გაზ. „ტფილისის ფურცლის" თანამშრომელთა საქმე**

შრომის სამინისტრომ გააუქმა მომრიგებელ კამერის მიერ მაისში მიღებული დადგენილება, რომლის ძალათაც დახურ. გაზეთ „ტფილისის ფურცლის" თანამშრომლებისთვის სალიკვიდაციო ჯილდო უნდა მიეცათ გაზეთის უკანასკნელ პატრონებს.

### მიწათ-მოქმ. სამინისტროში

**ხილის მიღება.**

მიწათ მოქმედების სამინისტროს ბორჩალოს მაზრის სახელმწიფო მამულებიდან უკვე ჩამოუვიდა დიდძალი ხილი, რომელიც სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საშუალებით გაიყიდა ძლიერ იაფ ფასებში.

**ივრის არხის შეკეთება.**

წყალთა სამმართველომ შეიმუშავა და მიწათ მოქმედების სამინისტროს გადასცა ყარაიაზში მდ. ივრის არხისათვის შესაკეთებლათ.

**საბალახოების შეკეთება.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აუწყებენ რომ სოფ. „ჩალისთავის" სახელმწიფო საბალახოებზე ხშირად გადმოდიან გლეხები სოფ. წილკანიდან და თვითნებურად აძოვებენ საქონელს და აფუჭებენ საბალახოებს. ასეთი თვითნებობა სისტემატიურათ ხდება და მით ზარალდება საბალახოები. საჭიროა საჩქაროთ იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

### იუსტიციის სამინისტროში

**იურიდიული კურსები.**

განზრახულია სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოეწყოს პრაქტიკული იურიდიული კურსები იურისტებისთვის რომლებზედაც სწავლა 2 წელი უნდა გაგრძელდეს კურსების პროგრამა უკვე შეიმუშავა ქართველ ვექილთა საზოგადოებამ და წარუდგინა უნივერსიტეტის საბჭოს მთავრობის წინაშე.

**ციხეთა ინსპექციის გადაცემა.**

ამ ჟამათ იუსტიციის სამინისტროში საჩქარო მუშაობა სწარმოებს ციხეთა ინსპექციის საქმეების შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადასაცემათ. ციხეებში თანამდებობებზე ახალი პირების დანიშვნას და ციხეთა შესახებ განკარგულების გაცემას უკვე შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს. მოკლე ხანში სრულიათ დასრულდება ციხეთა ინსპექციის საქმეთა გადაცემა, რაზედაც განსაკუთრებული კომისია მუშაობს.

**გენ. ბარათოვის და გენ. ოდიშელიძეზე თავდასხმის საქმე.**

გენ. ბარათოვსა და გენ. ოდიშელიძეზე თავდასხმის საქმე დავალებული აქვს უდიდეს საქმეთა გამომძიებელს ჯორბენაძეს, რომელიც ამ ჟამათ საჩქაროთ აწარმოებს გამოძიებას. ბ-ნ ჯორბენაძის განკარგულებაში გადავიდა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ხელმეორეთ დაპატიმრებული იბრაჰიმ აღა-ოღლი და კორენშტეინი, რომელთაც ბრალათ ედებათ გენ. ბარათოვისა და გენ. ოდიშელიძესთვის ყუმბარის სროლაში მონაწილეობის მიღება.

### შინაგ. საქ. სამინისტროში.

**შუამდგომლობა ომისგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ**

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე:

„საქართველოსა და სომხეთის შორის ომის დროს ბორჩალოს მაზრის ბევრი მცხოვრები დაზარალდა ქონების და ჭირნახულის დაკარგვით. ამ ზარალის გამოსარკვევათ და საქმის ვითარების გასაცნობათ, მთავრობის დადგენილებით, დაარსდა საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც აპრილში და მაისში იმგზავრა ხსენებულ მაზრაში და ადგილობრივ მოახდინა გამოძიება და დაახლოვებით გაითვალისწინა დანიშნული მიზანი.

როგორც კომისიის მიერ შეყვნებულ ოქმიდან სჩანს, მთხოვნელებისთვის ომის გამო მიყენებული ზარალი ეთანასწორება 776.000 მ. მაგრამ რესპუბლიკის მთავრობის მიერ ზარალის გამოკვლევამდე უკვე გადიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 500 ათასი მანეთი; ასე რომ მთავრობას ესახება მიზნათ აღძრას შუამდგომლობა დამფუძნებელ კრების წინაშე გახსნილ იქნეს ახალი კრედიტი, რომლის ჯამი შეადგენს 276.000 მან.

ამის გამო ვსთხოვ რესპუბლიკის მთავრობას დაადასტუროს სახელმწიფოს ხაზინიდან კიდევ 276,000 მან. კრედიტის გახსნა იმ პირთა დასაკმაყოფილებლათ, რომლებისადმი მიყენებული ზარალი საუწყებათაშორისო კომისიამ ჯეროვანის სახით შემდგარი ოქმის დადებით დაა ასტურა და ადგილობრივ გამოკვლეული ზარალის შეფასების შესახებ დაინტერესებულ მხარეთ არავითარი შესწორება არ წარმოუდგენიათ.

**საგუბერნიო ბატალიონის რეორგანიზაცია.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მიწერილობა გაეგზავნა საგუბერნიო ბატალიონის უფროსს, რათა მან მოახდინოს ბატალიონში შტატების შემცირება, ვინაიდან ბატალიონში მუშაობა შედარებით შემცირებულია. რეორგანიზაციის მოხდენის შემდეგ ბატალიონის უფროსათ პოლკ. სოლოღაშვილი რჩება.

**ტფილისის ციხეთა უფროსის დანიშვნა.**

ადმინისტრაციის ინსპექტორების განკარგულებით ტფილისის № 1 ციხის უფროსათ ნაცვლათ დათხოვნილ გ. ყიფიანისა დაინიშნა ლავრენტი მახარაძე, ხოლო № 2 ციხის უფროსათ ნაცვლათ დათხოვნილ არჩ. მდივნისა—ეპიფ. მეგრელიშვილი.

**ციხეების გადაცემა ახალი უფროსებისათვის.**

ტფილისის №№ 1 და 2 ციხეების საქმეთა წინანდელ უფროსებისაგან მისაღებათ და ახალი უფროსებისთვის გადასაცემათ მთავრობის განკარგულებით დაინიშნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ციხეთა ინსპექტორის თანაშემწე იაშვილი, საადმინისტრაციო ინსპექტორის საგანგებო დავალებათა მოხელე შენგელაია და ციხეთა ინსპექციის საქმის მწარმოებელი ხონელიძე.

**ახალციხის მაზრის კომისრის დანიშვნა.**

ახალციხის მაზრის კომისრის თანამდებობის ასრულება დაეკისრა იმავე მაზრის კომისრის თანაშემწეს გიორგი ლევანის ძე ჯავარაძეს.

## ქრონიკა

**პაპის ლეგატი გორში.** დღეს, რომის პაპის წარმომადგენელი, უფალი ანტონი დელპიუშე ინახულებს გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიას. ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენლები დაუხვდებიან მას გორის სადგურზე სათის 1-ზე ხოლო მეორე დღეს მიიღებს მას ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიის გალავანში, კვირა დილით, ღვინობისთვის 5-ს საათის 11-ზე შესრულებულ იქნება ხმოვანი წირვა, თანდასწრებით მისი უმაღლესობის უფალ ანტონ დელპუშესი. იმავე საღამოს ლეგატი ინახულებს ქარ. კათოლიკეთა სოფელ ბეთლემს სკრასთან.

**ქ.ტფ. სასურსათო განყოფილება** ქალაქის თვითმმართველობისა მსურველთ აძლევს განუსაზღვრელ რაოდენობით ფქვილს შემდეგ ფასებში: ხორბლისა 70 მან. ფუთი, სიმინდისა 50 მან. ფუთი. ქერისა 60 მან. ფუთი. სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმმართველობისა.

**საჯარო ვაჭრობა.** 11 ოქტომბერს შაბათს, 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულთა განყოფილების ბინაზედ (პეტრე-დიდის ქუჩა 22) თევზის დაჭერის უფლების მიღებაზედ მდ. და დებედაჩაი ხრამში. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 30.000 მანეთიდან და მსურველებმა უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადება 2 მან. საღერბო გადასახადია და 30 პროც. იმ თანხისა, რომლისგან დაიწყობა საჯარო ვაჭრობა; დაწვრილებითი ცნობა მიიღება განყოფილების კანცელარიაში.

**ბათომი.** 29 სექტემბერს ბათუმში მოვიდა საქონლით დატვირთული რუს. საზოგად. გემი „იოანე ნათლის მცემელი", უსაქონლოთ ოსმალთა გემი „შაინი ბახრი" და „კარგემან დერია". საქონლით დატვირთული „სე ამეთი" და „მალაპეტი".

ამავე დღეს მოვიდა რუს. საზოგად. გემი „ნიკოლოზი" და „ფილიპე". აგრეთვე მოვიდა: „კატრა", „ნადჟადი" „კირალაიმუში" და „ასლანი".

### კრებები

თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში შაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ამავე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება. განსახილველია ფრიად საჭირო საქმეები. გამგეობა უმორჩილესად თხოვს ყველა მშობლებს დაესწრონ კრებას".

სამშაბათს 7 ოქტომბერს შუადღის სამ საათზე ორთაჭალაში (ვორონცოვის ქ. ბაღი შუბლაძისა) დანიშნულია საერთო კრება თფილისის და მისი რაიონის ბაღები პატრონების და მოიჯარადრებისა. ირჩევა საკითხი იჯარის მომატების შესახებ.

**კვირას, 5 ოქტომბერს.** საღამოს 7 საათზე, წ. კ. გ. საზ. ბინაზე (დამფ. კრების ქუჩა № 5) დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირების გამგეობათა შეერთებული კრება. განსახილველია: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის სამოქმედო პროგრამა.

—

### სამხატვრო ქრონიკა

**ნ. ევრეინოვის თეატრი.** თბილისის მხატვრებმა, პოეტებმა და არტისტებმა ეროვნების განურჩევლად თბილისის ქალაქის თავს გადასცეს თხოვნა, რომელზედაც ხელს აწერენ ყველანი, რომ კინემატოგრაფი, რომელიც იმყოფება მელიქ აზარიანის სახლში ოლღას ქუჩაზე გადაეცეს თეატრისთვის ცნობილ რეჟისორს ნიკოლოზ ევრეინოვს. ევრეინოვი იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველ ჰყოფს უმუშევრათ დარჩენილ არტისტებს.

**რესტორანი „ანონა".** გუშინ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ თავის კანცელარია გადაიტანა რესტორან „ანონა"-ში. მიღებულია ჩქარი ზომები, რომ რესტორანი გადაკეთდეს მ. ატვრულ კლუბათ.

**მწერალთა კავშირის კრება.** კვირას ყოფილ რესტორან „ანონა-"ში შესდგება მორიგი სხდომა მწერალთა კავშირის საბჭოსი, განსახილველია იუბილეების მოწყობა დ. კლდიაშვილისა და ვ. ბარნოვისთვის. მხატვრული კლუბის გახსნა, და მორიგი საორგანიზაციო კითხვები.

## აზერბაიჯანი

**გარეშე საქმეთა მინისტრის პროტესტი.**

გარეშე საქმეთა მინისტრმა რადიოითი შემდეგი დეპეშა დაგზავნა.

ყველას. ყველას. ყველას. 1918 წლიდან სომხები თავიანთ სამხედრო ნაწილებით და ადმინისტრაციის წევრთა საშუალებით ერევნის მთავრობის ხმარ ეველობის ქვეშ მყოფ რაიონებში სისტემატიურად ავიწროებენ მაჰმადიან მცხოვრებს. ეს შევიწროება უკანასკნელ ხანს მეტად გაზირდა განსაკუთრებით სურმალინის, ეჩმიაძინის, ერევნის, და ახალ ბაიაზეთის მაზრებში სადაც აგვისტოს 17-დან 31 განადგურებულ იქნა 50 მაჰმადიანთა სოფელი. ასეთ განადგურების სალიუსტრაციოთ შეიძლება დასახელებულ იქმნეს ჩანფინეტის ამბები (ეჩმ. მაზ.) სადაც აგვისტოს 17-ს სომხის მილიციამ მაზრის კომისრის მეთაურობით შეკრიბა ყველა მცხოვრებნი გადაჰყო მამაკაცები ცალკე ხოლო დედაკაცები და ბავშვები ცალკე, ჩამოართვა ქონება და გაზიდა სოფელ ქერიბარხის მცხოვრებთაგან წართმეულ აქლემებით შემდეგ მამაკაცები დახოცეს მდინარე არაქსის პირს, ასეთივე ბედი ეწია ს. ქერიმ-არხს, ფაშაკენდს, თაკირლიას, კორ ეხგიუნეს, ულალიკს, (კაიშაურის საზოგადოება) ალვირანს, დელერარა, პურპუს, ალი-ბეგს (არბენკენდის საზ.) აგჯარ იგდიდეს, კარ ხუნს, ქედნი-აროდიხს (ეჩმიაძინის მაზ.) ყიზალ ვანს, სუბათინს, ზაგალუნს, შახაბს, და სხ. ბასარგეჩრის რაიონის. ამასთან სოფ. ხახაბში გაპატიურეს დედაკაცები და ბავშვები დასწვეს, ასეთივე ბედი ეწვიათ მილიდარსის, ყარხანის და ერევნის მაზრის, ვედიჩაისის საზოგადოების მრავალ სოფლებს. განადგურებულ სოფლების გადარჩენილი მცხოვრებნი ტყე ღრე დაეხეტებიან და სიმშილით სწყდებიან ლტოლვილთა მცირე ნაწილმა შესძლო ადერბაიჯანში მოსვლა. სომხების ასეთი საქციელი იწვევს აზერბაიჯანის მცხოვრებთა დიდ აღშფოთებას, გარეშე საქმეთა მინისტრმა ენერგიული პროტესტი განუცხადა სომხეთის მთავრობას ამ დაუსრულებელ ძალადობის გამო და აღძრა შუამდგომლობა უმაღლეს კომისარ ჰასკელს წინაშე დაუყოვნებლივ გადამწყვეტ ზომების მისაღებად.

**მანეთის კურსი.**

რუსეთის ფულის ფასი ეცემა.

კერენსკის ათას მანეთიანები 1050-1090 მან. გადის. 20 40 მან. კერენსკების ფასი სრულიად დაეცა და 2 პროცენტს არ აღემატება ასევეა დონის ფულის.

**ვ ა ლ ი უ ტ ა.**

უცხო ვალიუტის კურსი მეტად იზრდება. განსაკუთრებით ოსმალეთის ოქროს ლირა და ინგლის გირვანქა. პირველი ფასობს ცალი 600 მან. 2 რე 550 მ. ფრანკს ძველი ფასი აქვს ცალი 14 მან. – 15 მან.

**საქონლის ბაზარი.**

ამერიკული კონი ფული აში 450 მ. ფუთი გაზეთის ქაღალდი დიდ ფორმატის 40 გირვანქიანი 230—250 მან. ფუთი. შემოდის ბევრი შაქარი და მანუფაქტურა.

## დაღესტანში

პეტროვსკში გენ. შკუროს ცხენოსან კორპუსის ნაწილები იკრებენ თავს. თვით გენერალი კურსკთან ბრძოლაში დასახიჩრების გამო დასასვენებლად მიდის. გუდერმესის და გროზნის შორის სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

გროზნის რაიონში უკანასკნელ ცნობებით, მოწინავე ნაწილებს ბრძოლა გრძელდება.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი,** ოქტომბრის 2 ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

**სამხრეთის ფრონტი.** ლგოვის მიმართულებით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. კურსკისკენ ქ. კრომის სამხრეთით და მალო-არხანგელსკის ჩრდილოეთით ბრძოლაა. სტაროოსკოლისკენ ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო სადგ. კასტორნაიას ჩრდილოეთით. დონის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და აიღო სტანცია ვეშენსკაია.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** აილტუროვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას აძლიერებს ნოვო-ზიანსკაიას დასავლეთით რამდენიმე სოფელი ავიღეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ დავლა. ტობოლის რაიონში შეტევაზე გადავედით და მტერი კარაჩინსკენ გავდევნეთ.

**ჩრდილოეთის ფრონტი.** მდ. ჩრდილოეთის დვინისკენ შეტევას განვაგრძობთ. მურმანის მიმართულებით შეტევაზე გადასული ჩვენი ჯარი შეუერთდა მტრის ზურგში გადმოსხმულ ჩვენ დესანტს და სად. ლიუმას ჩრდილოეთით წინ წავიწიეთ. შეტევა გრძელდება.

**დასავლეთის ფრონტი.** ჩვენ ჯარს გდოვიდან 60 ვერსზე ახალი პოზიციები უჭირავს. ლეპელიდან 5 ვერსის მანძილზე ჩვენმა ჯარმა ისევ აიღო რამდენიმე სოფელი. ბობრუისკიდან 5 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი ბრძოლით აიღო. მოზირის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტრის ძალდატანებით უკან დაიხია. მტერი მდ. უბორტისკენ უკუ ვაქციეთ.

**ჰელსინგფორსი.** ენკ. 30, რადგან რუმინის ჯარი ბუდაპეშტიდან გავიდა. უნგრეთის ფრიდრიხის მთავრობამ გადასწყვიტა ჟანდარმთა კორპუსი შეადგინოს.

**მოსკოვი.** ღვინ. 2. „იზვესტიაში" დაბეჭდილია ჩვენება აჯანყების მომწყობ ერთ ერთ თვალსაჩინო ორგანიზატორისა. ეს საბუთი ნათლად ჰყოფს ეროვნული ცენტრის და მის თავმჯდომარე ნ. ნ. შჩეპკინის ჯაშუშურ-მოღალატეობრივ როლს. ეს საბუთი აშკარად ლაპარაკობს რკინის გზის აფეთქებაზე, გამოსვლებზე და მცხოვრებლებში პროვოკაციულ მუშაობაზე. მომქმედ პირებად უმეტეს ნაწილად არიან გენერლები და ოფიცრები.

**ჰომელი.** ენკ. 30. „ვარშავსკაია რეჩი" იუწყება, რომ სტოკჰოლმში ინგლისის საელჩომ შემდეგი განცხადება. „უკანასკნელ ხანებში პრესაში იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობა იმ ფულების გარანტიას იძლევა, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთის მთავრობამ გამოსცა. ჩვენ დაგვავალეს გავაცხადოთ. რომ ხმები ასეთის გარანტიის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

**ლიონი.** ენკ. 30 იტალიის ქვემო პალატაში 2 დღის თათბირმა მთავრობის კრიზისის საკითხის ლიკვიდაციამდე მიაღწია. პრემიერ ნიტის მიერ მიღებული ხმის უმრავლესობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის ახლანდელ მდგომარეობაში, რომ მისი ავტორიტეტი უზრუნველყოფილი იყოს. საგარეო საქმეთა მინისტრსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შუა უთანხმოება მოხდა თუ პრემიერი გადადგა, მას მიყვება კოლეგიის სხვა წევრებიც, ამას გარდა ტიტონის გადადგომა კრიზისს გამოიწვევს.

**ჰომელი.** ენკ. 30. პოლონეთის ტყვეობიდან გამოქცეული გადმოგვცემს, რომ მტრის ზურგში მოქმედებს პარტიზანული რაზმები.

**მოსკოვი.** გლეხები რაზმებს ყოველივე აუცილებელ ნივთებით უზრუნველყოფენ. „პოლსკაია გაზეტას" ცნობით, ლოძში არეულობა დაიწყო. არეულობის მიზეზია 10,000 მუშის დათხოვნა. გამოწვეულმა პოლიციამ მუშებს სროლა აუტეხა და მრავალი დემონსტრანტები დახოცა. ქალაქში დიდი მღელვარებაა. მანიფესტაციების დროს სახლის ფანჯრებიდან პოლიციას ესროდენ.

**კოპენჰაგენი.** ენკ. 29. საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნებულმა დანიის წითელი ჯვრის მისიის მეთაურმა დოქტორ მარტინიმ სტუდენტთა კავშირში მოხსენება წაიკითხა რუსეთის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში არც ისე დამაღონებელია, როგორც მას საზღვარგარეთ ახასიათებენ. ბოლშევიკებს აქვთ სრული ძალა უფლება ხელში, მათ მათ მხარეზეა ხალხი. ისინი საუცხოვო ორგანიზატორები არიან. ყოველივე ცდამ დაემარცხებიათ ისინი, უნაყოფოდ ჩაიარა. მარტინი ამართლებს საბჭოთა მთავრობის დამოუკიდებლობას უცხოელთა მთავრობის წარმომადგენლებისადმი, რომელთა შორის მრავალმა თავისი პოლიტიკური გამოსვლებით და სპეკულიაციით თავი შეირცხვინა. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე ძველი მოხელეების, მეცნიერების, ლიტერატორების, მრეწველობის და ვაჭრობის მიერ საბოტაჟის შეწყვეტის ფაქტზე. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ სკადინავიის მხრივ ბოლშევიკებთან დამოკიდებულების აღდგენა შესაძლებელია.

**სარატოვი** ოქტ. 1. ცარიცინის ფრონტიდან გამოქცეულები გადმოგვცემენ, რომ მარიიზოვსკაია და ნიჟნეჩირკესკაიას სტანიცების რაიონში დენიკინის ცხენოსანმა პოლკმა უარი განაცხადა ცარიცინიდან გამოსვლაზე და დენიკინის ჯარის დახმარებაზე, მიზეზათ ტანისამოსის უქონლობას ასახელებდენ. სარდლობის დაპირებამ რომ მალე მოვა ინგლისური ტანისამოსი უნაყოფოდ ჩაიარა. პოლკი ბოლშევიკურად ალიარეს და ველიკოკნიაჟესკაიაში გაიწვიეს დასაშლელად.

**კალაჩი.** ენკ. 30 თეთრგვარდიელთა გაზეთები მღელვარებით ბეჭდავენ ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიაში მწვანეების გაძლიერების შესახებ. ისინი აჩერებენ მატარებლებს იჭერენ მოხალისეთა ჯარის ოფიცრებს და ართმევენ ფულებს, რომელიც დენიკინის მთავრობას ეკუთვნის. არმავირში ცემენტის ქარხნის დირექტორი მოკლეს ის ძლიერ მკაცრად ეპყრობოდა მუშებს. ყაზახების ჩვენ მხარეზე გადმოსვლისთვის შესაწყვეტად დენიკინის სარდლობა ცრუ ხმებს ავრცელებს, ვითომ საბჭოთა რუსეთი ფიქრობს დონის ყაზახებს ჩამოერთვას უპირატესობანი.

## ფელეტონი

ღვინობისთვის 3.

**ფრანგული პრესა**

მიუხედავად გავრცელებული ხმები-

სა, ამერიკელები ამტკიცებენ, რომ ინგლისელები მათ აზრს იზიარებენ, რადგან ესმით რომ ევროპაში მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სახელმწიფოები მტკიცედ შეკავშირებული დარჩება.

„იტალიელები წუხდებიან"—ასეთი აზრი გამოთქვეს დღეს ამერიკელმა წრეებმა. იმ ამბების შესახებ, რომელიც მოხდა მინისტრ-პრეზიდენტის განცხადების შემდეგ; მინისტრ-პრეზიდენტი ფიუმეს იტალიასთან შეერთების წინააღმდეგია. ფიქრობენ, რომ იტალიელები უკიდურეს ზომებს მიმართავენ. იტალიის პარლამენტმა დიდი ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა ნიტის და გაიმეორა მოთხოვნილება ფიუმეს იტალიასთან შემოერთების შესახებ, რის გამოც მთავრობა უნდა ეცადოს ამას მიაღწიოს. ამერიკელების რწმენით საფუძვლად შემდეგი უდევს: 1) კერძო დეპეშების ცნობით იტალიელი სოციალისტები სამხრეთის სლავიანებთან ომის წინააღმდეგი არიან და იმუქრებიან, რომ თუ ომი დაიწყო, ისინი რევოლიუციას დაიწყებენ; 2) ეკონომიურად იტალია სავსებით დამოკიდებულია შეერთებულ შტატებისაგან და ამიტომ თავისი მოქმედება შტატების სურვილებს უნდა შეუთანხმოს. აღნიშნავენ აგრეთვე ამერიკის მნიშვნელობას მოკავშირეების ეკონომიურად განვითარებისათვის. საჭიროების მიხედვით ამერიკას შეუძლია თავისი საგენტოების მობილიზაცია მოახდინოს. ამერიკელები უკმაყოფილებას იჩენენ რუმინიისადმი საფრანგეთის და იტალიის დამოკიდებულებით. პოლკმა უმაღლეს საბჭოში დღეს წაიკითხა დეპეშა, რომელიც ადასტურებს, რომ რუმინელები განაგრძობენ ჰუნგრეთის ჟანდარმერიისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

## გერმანული პრესა

იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ იტალიაში ნაციონალისტურ პროპაგანდის წინააღმდეგ მოძრაობა იზრდება.

ვერსალიდან მოსული ცნობებით უმაღლესი საბჭო იმ აზრისაა, რომ ბოლშევიკური რუსეთის ბლოკადა უნდა გაგრძელდეს და სურსათში საქონლის შეზიდვის ხელის შესაშლელად მიღებული ზომები ჯერ არ უნდა მოისპოს.

30 ოქტომბერის მაინის ფრანკფურტში ხდება საერთაშორისო იარმუკის გახსნა. ქალაქისთავი მიესალმა აუარებელ დამსწრეთ, პრესის წარმომადგენლებს, ქალაქის საბჭოს და სავაჭრო პალატის წევრებს. მან აღნიშნა მრავალ უცხოელთა დასწრება, რომელთა იმედი არამც თუ გამართლება, არამედ გადაჭარბების მოლოდინს ისინი დარწმუნდებიან, რომ ჩვენ მივისწრაფით სიცოცხლისაკენ და გამოღვიძებისაკენ.

## იტალიური პრესა

სამხედრო მატარებლების გაუქმების გამო 1 ოქტომბრიდან უმჯობესდება რკინის გზის მოძრაობა.

იტალიის ფასიან ქაღალდების კურსი წინანდებურად მაღლა იწევს.

იტალიის მთავრობამ განკარგულება გასცა რომ ალბანიის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი, მხარის დამოუკიდებლად განვითარების ხელის შესაწყობად, გადაეცეს მოკავშირეთა დროებით მთავრობას.

საზავო კონფერენციამ მოიწონა ზოგიერთი ცვლილებები ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც ხელშეკრულებაში უნდა იქნეს შეტანილი.

## ფრანგული პრესა

საზავო კომისიის სახელით ბარტიკეს მიერ წარდგენილ მოხსენებით და კლემანსოს კითხვით, პალატამ 262 ხმით წინააღმდეგ 188 ისა დაადასტურა დადგენილება, რომ ვერსალის ხელშეკრულების მიღების შემდეგ პალატის სხდომა შესწყდეს.

იტალიის მთავრობის დეკრეტით პალატის ახალი არჩევნები დანიშნულია ნოემბრის 16-თვის, ხოლო პალატის და სენატის მოწვევა დეკემბრის 1-ისთვის.

ამერიკის დელეგატები ფიქრობენ რომ მდგომარეობა იტალიაში ძალიან მტკიცეა, მაგრამ არ შეიძლება იმის წინასწარმეტყველება, თუ რა მოხდება ამ დღეებში. ამერიკის ოფიციალური წრეები აღნიშნავენ, რომ იტალია დახმარებას სთხოვს შეერთებულ შტატებს და სენატს თავისი იმპერიალისტურ მისწრაფებათა განხორციელებაში. მაშინ, როდესაც იტალიაში მღელვარებაა, ამერიკელები ამტკიცებენ, რომ უნგრეთიდან მოსული ცნობები იქ სიწყნარის ჩამოვარდნას არ მოწმობს. რუმინელები განაგრძობენ უნგრეთიდან საქონლის გაზიდვას. ამერიკის უმაღლეს ძალა-უფლების წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ რამდენადაც მალე დარწმუნდება ევროპის სახელმწიფოები, რომ ამერიკელ ბანკებს არა სურთ დახმარება გაუწიონ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ხელს უშლიან მთავრობის (?) აღდგენას, იმდენად უფრო დაჩქარდება დახმარების აღმოჩენის საქმე. ამის გამო აღნიშნავენ, რომ მაშინ, როდესაც საზავო კონფერენციაზე იტალიის დელეგატებს აშფოთებს უნგრეთში რუმინელების მიერ ჩადენილ საქციელის შესახებ მიღებული ცნობები, იტალიის პრესის წარმომადგენლები აშკარად აქეზებენ რუმინელებს იმედით, რომ, თუ მათ უთანხმოება მოუვიდათ სამხრეთის სლავიანებთან, რუმინელები იტალიელებს დაეხმარებიან. ამერიკელებს ეჭვი შეაქვთ. იმაში, რომ საიდუმლო ხელშეკრულება არსებობდეს იტალიასა და რუმინიის შორის, მაგრამ ამბობენ, აშკარაა, რომ იტალიელები რუმინელებს ეფერებიან.

სავაჭრო პალატის ვიცე პრეზიდენტმა კაუფერმა სთქვა, რომ მიზანი საერთაშორისო იარმუკისა არის აღადგინოს ომის მიერ შეწყვეტილი ეკონომიური დამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან, ყველა ერის წარმომადგენლები დარწმუნდებიან, რომ გერმანია საერთაშორისო ეკონომიური ცხოვრებიდან არ უნდა გაითიშოს და სხვა ქვეყნების ინტერესისთვის უნდა აღასრულოს ის ვალდებულებანი, რომელიც სხვა და სხვა მდგომარეობის გამო დააკისრეს მას.

სამშაბათს ზემო სილეზიის წარმომადგენლებისა და პრუსიის საბჭოს შორის მოლაპარაკების დროს განაცხადეს, რომ ამ პროვინციას ავტონომია ენიჭება.

30 ენკენ. პრუსიის ყოფილი არმია გაუშვებს, ყველა მისი დანარჩენები გერმანულ (?) კორპუსში ჩარიცხეს.

რიგიდან მოსული ცნობები გადმოგვცემენ, რომ ბალტიის პროვინციის ევაკუაცია გრძელდება.

„ფორვერტსი" იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერის რენოდელის გალაშქრება გერმანიის არმიის წინააღმდეგ ნიშნავს, ფრანგების მისწრაფებას განაიარაღონ გერმანია, აქვს მიზნათ გერმანიაში დამოუკიდებლების და კომუნისტების მხარის დაჭერა და ხალხი დაუმორჩილონ ტერორისტულ უმცირესობას

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ი აცხადებს: „კარგად ცნობილია, რომ საფრანგეთის სოციალისტებს, როგორც რენოდელს, სთვლიან ნამდვილ სოციალისტებს გერმანიისთვის ექსპორტის საგნად, რომელსაც არ შეუძლია თავისე საკუთარ ქვეყანას სარგებელი მოუტანოს.

## ბოლშევიკური ცნობები

**აღმ. სავლეთის ფრონტი.** კურგანის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ტობოლისაკენ მიმავალ გზაზე იმყოფება. ნოვოუტკინსკთან კონტრ იერიშით 450 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიის-მფრქვეველი. იშიმის რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენი ჯარი ავიწროვებს მოწინააღმდეგეს, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ მის ჯარს სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ ვდევნით. ბუშუევსკის დასავლეთით რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ტობოლის რაიონში მტერს ბრძოლით ვაკავებთ პლავსკთან.

**ფინეთის მთავრობა და მოკავშირენი ბოლშევიკებთან ზავის შესახებ.**

**ჰელლოოსტროვი.** სექტ. 27. გაზ. „ავტონბლადეტ"-ის კორესპონდენტი იუწყება ჰელსინ ფორსიდან, რომ სექტემბრის 17 იქ მოხდა თათბირი ფინეთის მთავრობასა და მოკავშირეთა წარმომადგენლების შორის, რის შედეგათაც ფინეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჯერჯერობით პასუხი არ გასცეს საბჭოთა რუსეთს მის საზავო წინადადებაზე და ეცადოს ხელი შეუშალოს ბალტიის სხვა სახელმწიფოებს ბოლშევიკებთან ზავის შეკვრაში. როგორც ამბობენ, მოკავშირეთა წარმომადგენლებმა ფინეთის მთავრობას იმის გარანტია მისცეს, რომ ინგლისის ფლოტი ფინეთის ყურედგან არ იქნება გაყვანილი.

## ინგლისის მანდატი სტამბოლში

ლონდონის კონსერვატორული გაზ. „მორნინგ პოსტ" მეთაურში აზრს იცავს, რომ მხოლოდ ინგლისს ეკუთნის სტამბოლის და იმავე დროს მთელი ოსმალეთის მანდატის მიღება. „წინააღმდეგ შემთხვევაში—სწერს იგი—ბოლშევიკები ისარგებლებენ გარემოებით და სტამბოლს გახდიან ცენტრად საიდანაც შეეცდებიან თავიანთ პროგრამის განხორციელებას აღმოსავლეთში ბრიტანეთის მთავრობას ამათ ეძნელება ამ მანდატის მიღება ვითომც იმ მიზეზით რომ ჩვენ ძალიან ბევრი საქმეები გვაქვს, რომელზედაც უნდა ვიზრუნოთ, ეს მართალია, მაგრამ თვით ჩვენ მშვიდობიან ცხოვრება მესოპოტამიაში, ეგვიპტეში და პალესტინაში საფრთხეში იქნება, უკეთუ სტამბოლი დარჩება სხვის ან ჩვენი მტრების ხელში მაგრამ უკეთუ ჩვენ ავიღებთ სტამბოლს ჩვენ გავაუმჯობესებთ ჩვენს მდგომარეობას ეგვიპტეში, პალესტინაში, მესოპოტამიაში და და ინდოსტანშიო, რადგან სტამბოლი მთელ ამ ქვეყნების გასაღებია. („აზ.")

**პოლკ. ჰასკელის მოხსენება**

სტამბოლის „ფეიკან" გაზეთში ვკითხულობთ: „სომხეთის კომისარ ჰასკელს, მოხსენება გაუგზავნია ვილსონისთვის" („ვერჯინ—ურ").

## პეტროგრადში

მთელი პეტროგრადი შეიარაღებულია და ნაღმებ შემოწყობილი. პავლეს ფორტი და სანაღმო ბაზა, ბოლშევიკების დროზე ყურადღების მიუქცევლობის გამო, აფეთქებულია როგორც ირკვევა ფორტი „პავლე I" აფეთქდა ნაღმების ვოლგაზე გადატანის დროს რადგან წითლებმა არ იცოდნენ მისი მოხმარება. აფეთქდა 300 ნაღმი და 4000 ფუთი ასაფეთქებელი მასალა ფორტი საძირკვლიანად დანგრეულია შუშები ჩალეწილია არა მარტო პეტროგრადში არამედ ორინბაუმში გაწყდა მრავალი მოლოშკრე და მცხოვრები. პირველ ხანებში აფეთქების შესახებ ცნობების გავრცელება აკრძალული იყო ვითომც და ფორტის უმნიშვნელობის გამო. ხიდებთან ნაღმებია ჩაწყობილი გემების გასატარებლად ნებართვის მიღება ნევის სანაღმო დივიზიონისაგან. ხიდებზე თამბაქოს წევა აკრძალულია. პეტრე პავლეს ციხე შეიარაღებულია და ბოლშევიკები იმუქრებიან, თუ დახევა მოგვიხდა ქალაქს გავანადგურებთო. ჩრდილოეთის კომუნა გაუქმებულია. მის მაგივრობას ეწევა თავდაცვის კომიტეტი რომელსაც პეტერსი უფროსობს.

პროფესიულ კავშირების მობილიზაცია არ განხორციელდა. სამხედრო სამსახურში გაწვეულია ყველა 40 წლამდის. მილიციაში დედაკაცები არიან.

გამოიცა მოწოდება მეზღვაურებისადმი: „ამხანაგებო ნუ მიეცემით ვნებას".

ლატიშები სტოვებენ რუსეთს და სამშობლოში ბრუნდებიან. შეშა არ იშოვება.

ევაკუაციას ხელმძღვანელობს სასურსათო დიქტატორი სასურსათო ორგანოების თავმჯდომარე გრომანი. ტრამვაი ნაშუადღევის 3 საათამდის დადის, რადგან საათები 3 საათით არის გადაწეული. მცხოვრებთა რიცხვი 900 ათას ძლივს აღწევს.

ალექსანდრე მესამე და პეტრეს ძეგლი ხელუხლებელია, საზამთრო სასახლის მოაჯირი გაყიდულია (მშვიდობიანობის დროს ღირდა 1 მილ. მანეთი). პურზე დღეში 100 მანეთი იხარჯება.

## მუსიკის სწავლის საკითხი ქართულ სკოლებში

ცუდ პირობებში გვიხდება მუსიკაზედ წერა! ამ ხელოვნების წინააღმდეგ რეაქცია დაიწყო: მთავრობას ერთის კალამის მოსმით საშუალო სასწავლებლებში სიმღერა-გალობა თითქმის გაუუქმებია დატოვებულია მხოლოდ პირველსა და მეორე კლასში. (ეს კი ვერ გამიგია:—ან ამ კლასებში რაღათა სტოვებდნენ ამ საგანს! თუ საგანი საჭირო არ არის, მაშ მის მოსასპობად ზომები ბოლომდის უნდა მისულიყო) ასე, აზნაირად იწყება ჩვენი სწავლა განათლების საქმე, ასე იყურება საძირკველი ჩვენი ერის აღორძინებისა სულიერად.

ჟ. ჟაკ-რუსსო „ხელოვნება და მისი საზოგადოებრივი დანიშნულება"-ში ამბობს: ერთს სავადმყოფოს, რომელიც ასს ადამიანს შეიფარებს, არ გავცვლი მთელად თეატრებსა და სამხატვრო გალერეიებზედაო". ამხანაგებმა რომ გამოსცეს მისი თხზულებები; რასაკვირველია, ეს ადგილიც შეასწორეს და რუსსოს ბოდიში მოჰხთოვეს—ჩვენს ამხანაგს ეს არ დაუწერია და ასე დაწერილი ესე არ უნდა გავიგოთო. რა გამოვიდა! დაწერილი შავის მელნით თეთრ ქაღალდზედ წასაკითხათ დარჩა, მას ვერ ამოშლიან ვერც დრონი და ვერც ბოდიშები.

აი, აქ გამართლდა დიდებული თქმულება: отъ великаго до смѣшного всего одинъ шагъ. ვილჰელმი II, 1892 წელს ბერლინში ეწვია სახალხო სკოლების მასწავლებელთა საიმპერიო ყრილობას; სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა პირველ რიგიდან ითხოვა სიტყვა და ათასობით თავმოყრილს მასწავლებლებს მიმართა: . . . . „ამღერდით, ამღერდით და ამღერეთ ჩვენი შვილები; დეე, მათი უმანკო გული ნემეცურ სიმღერით გერმანიისთვის ისე იწოდეს, როგორც ფარვანა სანთელზეო". და განა მარტო ამიტომ აღმერთებდა ვილჰელმი ხალხურ სიმღერას, რომ იგი მუსიკოსი იყო? სულაც არა! გვირგვინოსანი ჰგრძნობდა, თუ რა შეუძლიან შეძინოს ხალხურმა სიმღერამ მოზარდ თაობას.

ჩვენმა სამინისტრომაც გაატარა რეფორმა შკოლისა. და ამ განხილვაში გეროსტრატესა და რუსსოს წასაბაძ ნაბიჯებს მუსიკისადმი უფრო ვხედავთ, სანამ ვილჰელმისას. მაგრამ ესეც კია, —ჩვენი მთავრობა როგორ ინებებს წაჰბაძოს ვილჰელმის კარგს მაგალითს!

ვილჰელმს, როგორც გვირგვინოსანს, თუნდაც რომ პირიდან თაფლი სდიოდეს, სოციალისტებს მაინც ქაფი ეგონებათ. არ ვიცი ჩვენი მესვეურნი სახელმწიფოს მოწყობაში რა საკაცობრიო თვალსაზრისით ჰქმნიან კანონსა და წესს, ხოლო რაც შეეხება კულტურულ ცხოვრებაში მფარველობას, იგინი აქ ფრიად ძუნწად იქცევიან.

მე მეუბნებიან: აი, მთავრობამ რამდენიმე ათი ათასი მანეთის სურათები შეიძინა ქართველ მხატვრებისაგანაო. მერე რა? გაკეთდა მაგითი საქმე? სულაც არა!

აი მუსიკოსები დაასაჩუქრა ათ-ათი ათასი მანეთითაო. ათი ათასი მანეთი მუსიკა!? ეს ხომ დაცინვაა და სხვა არაფერი!

განა მთავრობამ გახსნა გალერეია ნაციონალური სურათებისა? გახსნა სამხედრო, ან სამუსიკო შკოლა? ან უფიქრია, გადაუდგამს ნაბიჯი შეკრიბოს მრავლად გაფანტული ჩვენს სამშობლოში ხელოვნების ძეგლი? ჩაუწერინებია კი ვისთვისმე ერთი სიმღერა, ლექსი, თქმულება, ანდაზა? თუ რამე გაკეთებულა ამ მხრივ, გაკეთებულა კერძო ინიციატივით შეიხედეთ ჩვენს მუზეუმში რა მწირობაა, ყველაფერს შემთხვევითი მუშაობის ელფერი ადევს დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სიმართლეში, იმის მაგივრათ, რომ ხალხსნური ელემენტი გააძლიეროს შკოლაში, სამინისტრო გაამდიდრა და ქართულ სიმღერასა სპობს. თუ მბრძანებლობა ხელში მიჭირავს, მოსპობაზედ ადვილი რა არის!

ჩვენმა დაუვიწყარმა აკაკიმ უკანასკნელ წელს „ხალხურ ოპოზიციაზედ" ლექცია წაიკითხა ქართ. თეატრში. ეს მისი უკანასკნელი გამოსვლა იყო.

ამ ასპარეზედ ყველა მომუშავეს ტკბილი სიტყვა აჩუქა,—დიდ საქმეს აკეთებთო,—ბოლოს ერთი კიდევ წაუკითხა საზოგადოებას „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გავედი" და მოუწოდა იმისთანა რამ საზოგადოება შეექმნათ, რომელიც ამოსწურავდა ხალხის ამ სულიერ სიმდიდრეს!

სად ვეძებოთ ეს საზოგადოება, სად?

ნეტარ-ხსენებულო აკაკი! საბრალო ვაჟა-ფშაველა! რამდენი კარგი ფიქრი, რამდენი კარგი სიტყვა დაგიხარჯიათ ხალხური ლექს-სიმღერისთვის, ხოლო იმ სკი აღარ გვეღირსებოდით,—ალი რაძინებულ სამშობლოში ექნება ყველა ამას რამე ღირებულება, თუ არა?

მე, როგორც სიმღერა-გალობის მასწავლებელს, სულაც არ მაშინებს მთავრობის ეკიდურისი ნაბიჯი ამ საგნისადმი შკოლებში; არვინ იცის, რა უფრო კარგი იქნებოდა პირადად ჩემთვის, აი თუნდა ეხლაც, ცხოვრებაში უკანასკნელად ზარის ჩამორეკვის დროს. ის, რომ უგაკვეთილებო დავრჩენილიყავ, თუ ის, რომ კიდევ მას წავლებლად დავრჩი!

მე მაშინებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ შორს, ძალიან შორს არის ის დრო, როცა მუსიკა შემოვა ჩვენს ცხოვრებაში, როგორადაც დიდ-მნიშვნელოვანი ელემენტი მომავალ თაობის აღზრდისა და სოციალურის ურთიერთობისა.

— ელემენტი კაცობრიობის სულიერად გარდაქმნისა და გადახალისებისა,

— როცა ჩვენ მას დავისახავთ ერთ-ერთ ღერძად ჩვენის პროგრესისა,

— როცა ჩვენ მას მივიჩნევთ და მივიღებთ იმ ხელოვნებად, რომლის მოქმედების სფეროც ისე უახლოვდება ჩვენის სულის ძვრათა სამფლობელოს, იმ სამფლობელოს, სადაც ჩნდება და ისახება სიმპატია და ანტიპატია ადამიანისადმი,

— როცა ჩვენ მას მივიჩნევთ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ხელოვნებათ, რომელიც ამყარებს კავშირს კაცთა საზოგადოების სხვა და სხვაგვარ და ტომობრივ განსხვავებულ ერთმანეთობათა შორისო, იწვევს მათში თანაგრძნობას და სიყვარულს,

— იმ ხელოვნებათ, რომლის ხმებიც, შთაბნეულნი ჩვენის გულ ის-ყურსა და ცნობიერებაში, ურთდებიან ერთმანეთს იქ, ჩვენის არსებობის საიდუმლო სიღრმეში და აიძულებენ სამოქმედოდ იმ ელემენტებს, რომლებიც გარდაჰქმნიან ხოლმე მეტყველების ხმებს სურათებად და მოქარგულ სახეებად და მით ჩვენს სულიერ ცხოვრებასთან შეასისხლხორცებენ ყველა სიმშვენიერეს.

აი, ამ დროს გვაშორებს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი განახლებულ სკოლებში და ეს არის ჩვენთვის სატირელიც, სატკივარიც.

ი. კარგარეთელი

## ბინის რეკვიზიციის წესი

ქალაქის გამგეობამ ბინების რეკვიზიციის შესახებ სექტემბრის 30-ს შემდეგი დაადგინა:

1) რეკვიზიციის წესით ბინები უნდა მიეცეს მხოლოდ დაწესებულებებს, უცხო სახელმწიფოთა მისიის წარმომადგენლებსა და მათ ჯარის ნაწილებს, თბილისში დროებით ჩამოსულ რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო პირებს, დამფუძნებელ კრების წევრებს, და მაღალ თანამდებობის პირთ, მათთვის ბინის ძლიერ საჭიროების დროს. იმ შემთხვევაში, თუ მათ შუამდგომლობას მხარს დაუჭერენ სათანადო უწყების მინისტრები.

2) რეკვიზიცია ჰხდება ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ხოლო საბინო განყოფილებას ევალება ცნობების შეკრება და ბინების წინასწარი შემოწმება, აგრეთვე გამორკვევა იმისი, თუ რამდენად შეეფერება რეკვიზიციით ჩამოსართმევად დანიშნული ბინა ამა თუ იმ პირის, ან დაწესებულების საჭიროებას.

8) კერძო პირთათვის ბინის რეკვიზიცია ჰხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი, უბინაოდ დარჩნენ ზემო ნაჩვენები მიზეზების წყალობით (ე. ი. თუ მათ ბინა ჩამოერთვათ წინა მუხლებში აღნიშნულ საჭიროებისათვის).

4) ბინის ქირა განისაზღვრება პატრონსა და დამქირავებელთა შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, მაშინ ქირას აწესებს ქალაქის გამგეობა აგვისტოს 5 ს 1917 წლის კანონით.

5) ეს დადგენილება ვრცელდება, აგრეთვე ყველა იმ საბინო საქმესა და შუამდგომლობაზე, „რომელიც ამ ჟამად საბინო განყოფილებაშია შემოსული განსახილველად.

ქალაქის მოურავი ბ. **ჩხიკვიშვილი**, ქალაქის გამგეობის წევრი, საბინაო განყოფილების გამგე ა. **პაპავა**, მდივანი **ინწკირველი**.

## მიწის გარშემო

შესავალი.—I ალაზნის გაღმა მხარე—ერეთი—II სოხუმის მხარე—აფხაზეთი.—მიწად-მოქმედების სამინისტროს დეფექტები.

—

**შესავალი.** ყველას პირზედ მიწა აკერია და ყველა მისკენ მიისწრაფვის, რათა დაიკავოს და იუფლოს.

ყველას სურვილია, რომ მიწა მეტი დაიჭიროს, რათა წყარო ცხოვრებისა მეტი ექნება და შრომა კი ნაკლები დასჭირდება.

დღევანდელ ტეხნიკის განვითარებისა გამო, სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი მეურნე უფრო ნაკლებ მიწაში იმდენს ნაყოფს მოიყვანს, რომ მისთვის საჭირო არც კი იქნება, რამდენიმე ასი დესეტინა დაიუფლოს.

და რაც მეტს ცოდნას, ამაგს და მუშაობას შეიტანს მიწაში, იმდენს მეტს სარგებლობას ნახავს.

ეხლანდელ განვითარებულ დროში საქმე ის კი არ არის, რომ რამდენიმე ასი დესეტინა ჰქონდეს კაცს, არამედ საქმე ის არის, რომ ერთი დესეტინით კაცმა იმდენი ნაყოფი მიიღოს, რომ თავისი ოჯახიც აცხოვროს და გარეშეებსაც გაუსწორდეს.

მიწა—ეს ის ცენტრია, რომლის გარშემო ყველა ტრიალებს. მიწა—ეს ის ულეველი სალაროა, რომლითაც კაცობრიობა სარგებლობს და მიწა—ეს ის სიცოცხლის დასაბამია, რომლითაც ყველა ცოცხლობს.

და, აი, ამის გამო კაცთა შორის არა ერთხელ სისხლი დაღვრილა მის დასაჭერად და გამხდარიყო მის ფლობელად.

რევოლიუციამ მიწა გაანთავისუფლა იმ კლანჭებისაგან, ვისგანაც სუსტნი ამა ქვეყნისანი მოკლებულნი იყვნენ მის სარგებლობით.

დღეს ეს სუსტნი დაეპატრონენ თავისუფალ მიწას!

და იწყება ახალი ხანა ცხოვრებისა!

—

### I

**ალაზნის გაღმა მხარე—ერეთი** *)

**1. გამგზავრება ლაგოდეხისკენ.** შემთხვევით შევიარე საგუბერნიო საადგილ მამულო სამმართველოში, იქ სჭირდებოდათ მიწების მიმღებ კომისიებში კაცები, მეც ვითხოვე მოეცათ ერთ-ერთ კომისიაში ადგილი.

ჩემს გასახარელად დამინიშნეს ლაგოდეხის რაიონის მიმღებ მიწების კომისიის თავმჯდომარედ

აღჭურვილი შესაფერ ქაღალდებით, გეგმებით, ცნობებით და სხვ. გავემგზავრე კახეთისკენ.

—

პირველად სიღნაღში ჩავედი. სამაზრო საადგილ-მამულო სამმართველოში დავალებისამებრ გამოვცხადდი. მივიღე მათგან, რაც ხელში ჰქონდათ ცნობები მიწების შესახებ და ვსთხოვე დაენიშნათ თანახმად ინსტრუქციისა კომისიაში თავიანთი წარმომადგენელი. დამპირდნენ ჩქარა გამოვგზავნითო.

საღამოზედ ჯადაველ წმ. ნინოს ბოდბის მონასტერში. ეკლესიაში მწუხრი იდგა. მოლოზანს აუხსენი ჩემი იქ მისვლის მიზეზი.

შევიდა, აცნობა იგუმენიას, მან მწუხრის გამოსვლას აღარ მოუცადა, გამოვიდა.

მივესალმეთ. მისაღებ ოთახში მიმიღო.

— მე დავალებული მაქვს საგუბერნიო საადგილ-მამულო სამმართველოსაგან, როგორც თავმჯდომარე მიწების მიმღებ კომისიისა გამოგიცხადოთ, რომ თქვენი სამონასტრო მამული—მდებარე ჭიაურის მამულში პირველ რიგშივე მივიღო და დაგიტოვოთ მხოლოთ 7 დესეტინა.

ამ გამოცხადების შემდეგ იგუმენიას აღელვება დაეტყო.

— ეგ ერთად-ერთი სახსარია ჩვენი მონასტრის და შკოლისა, რომელიც ჩვენი მოლოზნები თითონ ამუშავებენ იმ ადგილს და ცოტა თუ ბევრს გვეფარება. იმის მაგიერ, რომ რამე შემწეობა მოგვცეთ და ამ დიდებულ საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინოს ეკლესიას ჰქონდეს რაიმე სახსარი თავის რჩენისა, რაც გვაქვს, იმასაც გვართმევთ?! თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ეს წმინდა ადგილი სრულიად საქართველოსას რას წარმოადგენს ყოველ ქართველისათვის და, მე მგონია მხოლოთ ამ ეკლესიისთვის, როგორც დიდებულს ნაშთს—დამთრგუნველი კერპთ თაყვანის მცემლობისა, განსაკუთრებული უფლება უნდა მიენიჭოს და განირჩეოდეს სხვა მონასტრებისაგან.

— მე მხოლოთ ესღა შემიძლიან, ჯერჯერობით არ შევეხები მაგ მამულს და შევაჩერებ მიღებას, მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომ თქვენ მიმართავთ საგუბერნიო საად. მამ. სამმართველოს და განუმარტავთ ყოველივე მიზეზებს და აგრეთვე ამ მონასტრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მე დარწმუნებული ვარ თქვენს თხოვნას შეიწყნარებენ, მხოლოთ ნუ დააყოვნებთ.

ამით დავშორდით.

მეორე დღეს წნორისაკენ გავსწიე. აქ სადგურზედ ჩვენი კომისიის მიწის მზომლებს მიწის საზომი იარაღებით და პლანშეტებით შევხვდი. აქედან ფურგუნით გავემგზავრეთ ჭიაურის ტყისაკენ.

სადგურზედ გაგვაფრთხილეს: „ჭიაურის ტყეში ყაჩაღები არიანო". მაგრამ მგლის შიშით ტყეში ხომ სიარულს არავინ იშლის.

აქედენ სამი შეიარაღებული მილიციონერი გავიყოლეთ; ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო, ეს ზომები მიგვეღო.

ჭიაურის ტყე, რომელსაც ზაქათალის საქარავნო გზა ტკეცილი სჭრის, დიდათ შეთხელებულია და დიდ ცვლილებას ვხედავ მას აქეთ, რაც ამ ოთხი წლის წინათ გავიარე ამ ტყეზედ. გზის ორივე მხარეს სახნავებათ უქცევიათ და სოფლები ჩარიგებულან.

ამ საქარავნო გზაზედ დიდი მოძრაობაა, ურემი-ურემ მისდევს, ფურგონი ფურგონს, ეტლი-ეტლს.

სოფ. მიხაილოვკის მარჯვნივ გაუხვიეთ და აღმოსავლეთისაკენ პირი ვქენით. აქეთკენ პირველათ მიხდება მგზავრობა და უფრო ყურადღებით ვათვალიერებ გზის ორსავე მხარეს მოსახლეებს.

სოფ. ივანოვკიდან მოყოლებული გზის მარჯვნივ მიხაილოვკა-ალექსეევკამდის შენობებს რუსული სტილი ემჩნევა. ალექსეევკას ზემოთ სურათი იცვლება, შრომა, კავშირის შენობებს ქართული სტილი ატყვია და არხიტექტურის მხრივ ეს შენობები უფრო მკვიდრათაა აშენებული და ლამაზია შესახედავათ.

საღამოზედ ლაგოდეხში შევედით. წნორიდან ლაგოდეხამდის 36 ვერსია,

—

**2. ლაგოდეხი.** „ძველად ლაგოდეხს „თოლა" ეწოდებოდა და იყო თამარ მეფის რეზიდენცია", ასე ამბობს მოსე ჯანაშვილი ისტორიკოსი, მას შემდეგ საქართველო ბევრჯელ გაოხრებულა და ბევრჯელ აყვავებულა, მხოლოთ ბოლო დროს შაჰაბაზის და აღამამად ხანის შემოსევით ბევრი საქარ-

*) ეს მოხსენება შემოკლებით მქონ[და] წარდგენილი შარშან დეკემბერში აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში.

# კორესპონდენცია

## ახალ-სენაკი.

(უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის გარშემო)

ამ უკანასკნელ ხანებში სენაკის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. სკოლაში უთანხმოება იშვა. ერთი მხრით სკოლის გამგე მ თათარიშვილი და მეორე მხრით მთელი შემადგენლობა მასწავლებლების. არც ერთი მხარე დათმობის გზაზე არ დგას. მასწავლებლები კვლავ მტკიცეთ იცავენ ერთხელ მოჭრილ გადაწყვეტილებას. ჩვენი (მასწავლებლების) მოთხოვნის უკანასკნელი სიტყვა იყო—გამგე მ. თათარიშვილის ინსპექტორობიდან განთავისუფლება, როგორც ამ მოვალეობისათვის შეუფერებელი ადამიანი.

ასეთი კატეგორიული მოთხოვნას აქვს თავისი მიზეზები და ისინი იშედებოდენ სამოსწავლო წლის მთელი ერთი ნახევარი დროის განმავლობაში. სკოლის ასეთი მდგომარეობა მარტო სენაკის საზოგადოების ცოდნის და ინტერესის საზღვრებში არ დარჩენილა, იგი პრესის ფართო სივრცეში იქნა გადასროლილი.

„სახალხო საქმეში“ ბ. სიოს წერილები შესაფერისად არკვევენ საქმის ვითარებას, მხოლოდ „ერთობის“ კორესპონდენტი ბ. ნიავი დაშორებულია სინამდვილეს და მთელი მისი „სიმართლის მაძიებელი“ წერილი არღვევს ჭეშმარიტებას და სასურველ სიმართლის აღდგენის სურვილს.

მე, როგორც მასწავლებელი ამ სკოლისა, მინდა პასუხი გავცე ბ. ნიავს, თუმცა ვწუხვარ, რომ საუბარი მექნება ისეთი პიროვნებასთან, რომელიც ფარულად, ნიღაბ ქვეშ გამოდის სკოლის გულშემატკივრად და არ ვიცი, შესძლებს თუ არა ის გაბედულად აიხადოს ნიღაბი და საზოგადოების წინაშე პირახდილად დაიცავს ის რასაც მელულად სწერს.

სამოსწავლო წლის დაწყებიდანვე სასწავლებელში მეცადინეობა ღირსეულინ ტემპით მიმდინარეობდა. მასწავლებლებმა მეგობრულის კავშირით და ენერგიულად შევუდექით ჩვენს მძიმე მოვალეობას. ჩვენ შორის იყვნენ მასწავლებლები ხანგრძლივი წარსულში შეძენილ გამოცდილებით აღჭურვილნი და აგრეთვე ახალგაზდები ჯერ მხოლოდ სიყვარულით საქმისადმი და ახალი ენერგიით, ძალ-ღონით, შეგნებით. მუშაობა ჩვენი სამაგალითოდ იყო ასალები. ჩვენთვის აშკარა იყო საზოგადოების ჩვენდამი დამოკიდებულება და მით უფრო ვცდილობდით გაორკეცებულის სიყვარულით მუშაობის ჩვენზე დამყარებულ იმედის გამართლებისათვის. მაგრამ ასეთი მშვიდი სვლა აკადემიური წლისა სამოსწავლო წლის მეორე ნახევრის დაწყებაში დაირღვა და უკვე დამკვიდრდა მტრული განწყობილება. გამგემ ვერ დაიკავა თავისი პოსტი. მან გვერდი აუხვია ძველ გზას და განსაკუთრებულის სიხარბით ხელი ჩაჰკიდა გამგის მოვალეობას. მისი ოფიციალობა საზღვარს გადასცილდა. მოვალეობის კანონიერი ფარგლები უარყოფილნი იქნენ. მასწავლებლების ლანძღვა-გინება და მათი უარყოფით დახასიათების საზოგადოებაში გადატანა—აი ყოველივე ის, რამაც ჩვენ გვაიძულა ძიების საგნად დაგვესახა ისეთი საბუთების აღმოჩენა, რომელიც სასწავლებელს იხსნიდა დაღუპვისაგან და მით ბავშვებს ზიანს არ მიაყენებდა. უკანასკნელი გადაწყვეტილების საბოლოვო სიტყვა იყო. გამგის მოვალეობიდან განთავისუფლება მ. თათარიშვილის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიყავით მეცადინეობისათვის უარი გვეთქვა. ასეთი მოთხოვნა ჩვენ წარუდგინეთ ძველ სასკოლო კომისიას სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ ძველი სასკოლო კომისიამ მხოლოდ არქივები თუ დაბადა, თორემ საქმისათვის საჭირო გამორკვევა არ მიუცია. გაჭიანურდა ეს საქმეც. და მხოლოდ იგი კვლავ აღიძრა ამა წლის ენკენისთვეში, მეცადინეობის დაწყებისთანავე. ახალი სასკოლო კომისიამ გაარჩია ჩვენი თხოვნა და ყველა ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ წამოვაყენეთ და მართლაც მ. თათარიშვილი გამგის მოვალეობიდან გაანთავისუფლა. წავიდა ბ. გამგე სამინისტროში ბედის საძიებრად თუ როგორი იქნება პროცესი ძიებისა ეს ალბათ ბ. ნიავისათვის არის საინტერესო და დეე იგი გახდეს მისი მოწმეთ, ჩვენთვის—კი ეს საინტერესო არ არის.

ბ. ნიავი სწერს, რომ ადგილობრივი უმაღლ. დაწყ. სასწ. მასწავლებელთა შემადგენლობა შესდგება ახალგაზდა სტუდენტებისგანო. აქ მას სტატისტიკა ღალატობს. ჩვენს სასწავლებელში მხოლოდ ორი სტუდენტი ვიყავით, დანარჩენები კი მსახურებდენ 21, 14, 9 და 4 წელიწადებს, მაგრამ სწორედ იმ სტუდენტებს, რომელიც თქვენ გაწუხებთ, მადლობის მეტი ჯერ არაფერი დაუმსახურებიათ, რაც მრავალჯერ თვით ბ. მ. თათარიშვილს უთქვამს.

შემდეგ სწერს ბ. ნიავი: „ახალგაზდა მასწავლებლები ვერ შეურიგდენ სასწავლებელის დებულებიდან გამომდინარე სკოლისათვის იმ აუცილებელ საჭირო წესებს, რომელსაც მედგრად იცავს გამგე მ. თათარიშვილი, ამ დებულების დამტკიცება ბ. ნიავო ჩვენ მოგიხდებათ ფართო საზოგადოების წინაშე სულ მალე, და აქ კი გეტყვით, რომ დიახ, მ. თათარიშვილის მიერ შექმნილ სასკოლო დებულებას ჩვენ მორჩილებას ვერ გამოვუცხადებთ

შემდეგ უმიზეზოდ და გამგის დაუკითხავად გაკვეთილების გამოშვება და მრავალი სხვა სკოლის წესრიგის აუსრულებლობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა სასწავლებელში, რამაც ძირიანად შეაფერხა სწავლა-აღზრდის საქმე და უკანასკნელის პრესტიჟიც დასცა ხალხის თვალში“, მოგახსენებთ, რომ არც ერთი მასწავლებელის მიერ უმიზეზოდ გაკვეთილი არ ყოფილა გამოშვებული. თქვენ თავის დროზე საჭირო მასალებით და ექიმების მოწმობით დაგიმტკიცებენ ბ. ნიავო, რომ ყოველ გამოშვებულ გაკვეთილს თავისი მიზეზი ჰქონდა და იმ მიზეზებს ანგარიშს უწევდა თვით გამგე. მე აქ არ მინდა ვიყო თქვენებრ უსაბუთო, არ მინდა უსახო ფრაზები და ბრალდებას მხოლოდ სიტყვებით უპასუხო, რადგანაც ამით ისეთი მიზანს მივაღწევ, როგორსაც თქვენ და იმედია მიიღებთ ჩვენს (მასწავლებლების) გამოწვევას სამედიატორო სასამართლოში, რომ იქ უფრო პირისპირ გაბედულად ვილაპარაკოთ, ვინ უფრო დაინტერესებულია სიმართლეში, თქვენ თუ ჩვენ—მასწავლებლები.

ჩვენ ისედაც დიდი ხანია მოვითხოვდით საქმის გამოძიებას და ახლა კით უკეთესი შემთხვევაა, თქვენი წერილი ეს თამამი სტიმულია საქმის დასაჩქარებლად და თქვენც ნიღაბ ახდილი ალბათ სასწრაფოდ მიაღებთ ჩვენს წინადადებას.

სენ. უმ. დაწყ. სასწ. მასწ. მ. ლგამიჩავა.

## წერილები რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე ბარათს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზ. „საქართველოში“.

იმ დროს, როდესაც მოულოდნელი უბედურება მეხივით თავს დამატყდა და სასოწარკვეთილი ვერაგულად მოკლულ ჩემი ქმრის გაციებულს გვამს თავს დავტიროდი, ზოგიერთ ჩვენი საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთაგან ნივთიერი დახმარება მივიღე განსვენებული პოეტის ცახელის (პარმენ თვალჭრელიძის) დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად:

1) ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან 1000 მან.

2) ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობისაგან 1000 მან.

3) ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან 2000 მან.

4) ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიისაგან 1000 მან.

5) ანტონ და ალექსანდრე თვალჭრელიძეებისაგან 1000 მან.

6) კუბოს ყიდვის დროს ძმ. თედ. ლომაძეებმა განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემად ძვირფასი კუბოს ნახევარი ღირებულება (1000 მან.) შემო სწირეს.

7) დანარჩენი ხარჯების დასაფარავად ერთმა ჩვენი ოჯახის მეგობარმა ხელი მოგვანაცვლა სამი ათასი მანეთით.

გულითად მადლობას ვწირავ ყველას, ვინც გაჭირვების დროს დახმარების ხელი გამოუწოდა ობლად და უნუგეშოთ დარჩენილს ოჯახობას, აგრეთვე იმათაც, ვინც პირადათ, ან დეპეშებით თანაგრძნობა გამოუცხადა ჩვენს უსაზღვრო მწუხარებას და ბარბაროსთა ბინძური ხელებით გულგამირული ადამიანის ცხედარი სამარემდის მიაცილა.

გაუბედურებული ქვრივი

**ლიუბა თვალჭრელიძისა.**

---

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“ შემდეგს: ქ-მა სოფიო სარაჯიშვილისამ და კნიაჟნა მარიამ ჩოლოყაშვილმა შემოსწირეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას განსვენებულ ალექსანდრე სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად და თანახმად მისი სურვილისა, რომელიც მან გამოთქვა სიცოცხლის დროს—55 რუსული და გერმანული წიგნი. პალატის წიგნთსაცავში დაარსებულ იქნება ცალკე განყოფილება განსვენებულის ალექსანდრე სარაჯიშვილის სახელისა.

პალატის კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ—ქ-ნ სოფიო სარაჯიშვილისას და კნ. მარიამ ჩოლოყაშვილს.

**პალატის კომიტეტი.**

---

პატივცემულო რედაქტორო!

უმორჩილესად გიხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მშობლების და ნაცნობთა საყურადღებოდ, რომ ქვემოდ ჩამოთვლილნი მოქალაქენი საქართველოსი არიან ოდესაში და მოხალისეთა სარდლობასთან გამოსვლის ნებართვის მიღებისამებრ პირველივე გემით მოემგზავრებიან სამშობლოში:

1. პატიკაშვილი ბესარიონ იაკობის ძე.
2. შავგულიძე აბაკუმ გათავებული აქვს კომერციული ინსტიტუტი.
3. რჩმიშვილი შალვა მეუღლით.
4. ცინცაძე ილია მეუღლით.
5. ასამიძე. ექიმი. მეუღლით.
6. კიკნაძე დავით.
7. აბაშიძე რევაზ.
8. ბოკუჩავა დოროთეოსი.
9. მუჯირი ლუკა.
10. ნემსაძე. კიევის სტუდენტი.
11. ბითიაშვილი.
12. ნანიაშვილი. (ოსები).

**სამხედრო ტყვეები.**

1. არუთინოვი გიორგი.
2. ბახტაძე ტერენტი.
3. გაბუნია ილია.
4. გურგაია ივანე.
5. გიგინაშვილი დიმიტრი.
6. გზირიშვილი გიორგი.
7. დიმიტრაშვილი ვასილი.
8. ჭულაძე ალექსანდრე.
9. ჭულაძე გიორგი.
10. კალისტოვი ნიკოლოზ.
11. კოპაძე ლუკა.
12. კაპარავა ვასილი.
13. კვანტაძე დავით.
14. კორხელაური დიმიტრი.
15. კრასნოვი ვლადიმერ.
16. ქუთათელაძე ბარნაბა.
17. ქუთათელაძე სერგი.
18. ქუსაიაშვილი გიორგი.
19. კუჭუხიძე ეფრემი.
20. ქაჯაია ლავრენტი.
21. კუზიევი გიორგი.
22. კალმიკოვი ნიკოლოზ.
23. კიკილაშვილი გრიგოლი.
24. კროვნი ივანე.
25. ლორია ვლადიმერ.
26. ლომია ცხვევი სოფრომის ძე.
27. ლევსურიძე იგნატი.
28. ლევიკინი ვლადიმერ ცოლით.
29. მაკეევი არტემი.
30. მაღლაკელიძე სერგი.
31. მელიკაძე ვლადიმერ.
32. მატარაძე ლუკა.
33. მამინაშვილი ტრიფონ
34. მამინაშვილი ვასილი ცოლით.
35. ოქროსაშვილი ზაქარია.
36. ფრიძე ტარასი.
37. პაპინაშვილი გრიგოლ.
38. პროხოროვსკი ილერი.
39. სვანიძე ავქსენტი.
40. სტეფანიძე მიხეილ.
41. სტეფანენკო ზაქარია.
42. ტივალიშვილი ზაქარია.
42. თაბაგარი ვასილი.
44. მოკროვი მათე.
45. შერზაშვილი ბესარიონ.
46. შახნაზაროვი არტემონი.
47. შონია ილარიონ.
48. ჩხაიძე მიხეილ.
49. მჭედლიშვილი მოსე.
50. ჩაგუნავა კონსტანტინე.
51. ვერულაშვილი მიხეილ.
52. კვაჭაძე ვიქტორი.
53. დობაია მალაქია.
54. იოსელიანი ივანე.
55. გზიავა გალაქტიონ.
56. ჯანჯალია სილოვანი.
57. რახრახაძე ზაქარია.
58. ასლამაზიშვილი ზაქარია.
59. ჭუმლიაშვილი ვლადიმირ.
60. ჭინოშვილი კონსტანტინე.
61. ცქვიტინიძე მიხეილ.
62. ცერაშვილი ყარამან.
63. ჩხაიძე ნესტორ.
64. ნელაძე ეზეკილი.
65. ნიშნიანიძე შალვა.

საქართველოს მისიასთან უკრაინაში არსებულ ეკონომიურ კომისიის წევრი **გ. ბიბინაიშვილი.**

---

თველოს კუთხეები გაველანებულა.

მათ შორის ჰერეთიც (ალაზნის გაღმა მხარე) გაოხრებულა. როდესაც რუსეთის მთავრობა საქართველოს დაეპატრონა, 1850.1860 წლებში ამ გაველანებულ „თოლას“ ადგილს სადაც ულრანი ტყე იყო, ლაგოდას და ნიკიტინის უმფროსობით ერთი პოლკი ჯარი დაბანაკდა და დაარსეს „შტაბ კვარტირა (კაზარმები), დაასახლეს ჯარის-კაცების ოჯახები. მას შემდეგ ამ ადგილს უწოდეს 1853 წ. ლაგოდას სახელი—„ლაგოდეხი“ (გაგონილია ნიკიტინის ქალისაგან)

ლაგოდეხი გაშენებულია მთის ძირში, სადაც ჩამოუდის მთის ანკარა წყალი და ყოველ ქუჩაზედ ორსავე მხარეს მიჩახჩახებს.

ლაგოდეხი ოთხ-კუთხივ დაყოფილია ქუჩებათ, მომეტებულ შენობებს კაზარმები შეიცავს, ზოგი გაუქმებულია. შენობები არის ქვიტკირისა და აგრეთვე ხის შენობებიცაა.

თითონ ლაგოდეხს თავის სამხედრო პარკით უჭირავს ზომით—297 დეს. 1200 კ. ს. და მცხოვრებლებს, რომლებიც ითვლება 212 კომლი უჭირავთ სახნავი მამული 200 დესეტინამდის. მცხოვრებლების უმრავლესობა ქართველები არიან.

ზაქათალის საქარავნო გზატკეცილის მეორე მხარეს რუსების სოფელი „სლაბოდკა“ გაშენებულია, თუმცა ლაგოდეხათ ითვლება კიდეც. მცხოვრებლები 75 კომლია და მათ აქვთ მიზომილი 1600 დეს. ამ სოფელში 50 კომლიც უმამულო ითვლება.

ლაგოდეხში ჩვენ დავბინავდით სამხედრო ლაზარეთის გვერდზედ, პოლკ. ნადირაშვილმა კაზარმის 2 ოთახი დაგვითმო.

ლაგოდეხში შემდეგი დაწესებულებებია: ეროვნული საბჭო, რომელიც წარმოადგენს სრულებით დამოუკიდებელ ორგანიზაციას, სარაიონო კომისსარიატი, ფოსტა, სამხედრო ორგანიზაციები და კლუბი და დემოკრატიული კლუბი, სადაც ხშირათ იმართება წარმოდგენები.

ლაგოდეხი განათებულია ელექტრონით.

კვირაობით იმართება ბაზრობა და უმეტესად შემოდის ზაქათალის ოლქიდან, მოაქვთ გასაყიდი ლეკებს ხილი, ერბო, კვერცხი, შალეები და სხვა სოფლის ნაწარმოები.

—

3) **ჰერეთის მამულები.** ალაზნის გაღმა მხარეში ანუ ჰერეთში შედის სამი მამული: ქიაურისა, სავაჩნაძია ნოსი და ანდრონიკაანთი, რომელიც შეიცავს მათ სივრცეს 72,055 დეს. და შედგება შემდეგის ნაწილებით: მთიანი ტყეებია—24,019 დეს., ვაკე ტყეს უჭირავს 27,833 დეს., სახნავს და სახლ-კარ მიდამოს თავის ბაღ-ვენახებით შეადგენს—20,203 დეს.

აი ეს 20,000 დეს. მამული გადმოსახლებულმა 1906 წლიდან გამინდვრა და სახნავად აქცია გლეხის მარჯვენა ხელმა!

მთელი ეს მამული მდებარეობს ალაზნის გაღმა მხარეში შემდეგის საზღვრებით: აღმ. ზაქათალის ოლქი, დასავ.—ძველი გავაზის სახაზინო მამულები, ჩდ.—დაღესტნის მთების ქედი და სამ.—მდ. ალაზანი.

ამ მთების ძირშია მთელი ეს მამულები გაჭიმული და ეს მთები საფარია ჩრდილოეთის ცივი ქარის. აქ სრულიად არ იცის ქარი.

არც ქართლის სუსხიანი სიცივე იცის. ასე რომ აქ თამამად შეიძლება უმაღლეს კულტურის მცენარეების მოყვანა-გაშენება. როგორც თამბაქო, ბამბა მოდის, ისე ჩაის ბუჩქის, დაფნის ფოთლის, ინდის ხურმის მოყვანასაც შეუდგნენ ახლად გადმოსახლებულებმა იმერელ-გურულებმა.

მთელ ამ მხარეში გაშენებულია 55 სოფელი, სადაც მოსახლეობენ 3450 კომლი.

ამ მხარეს ძველი ისტორიული სახელი „ჰერეთი“ ეწოდებოდა, რომელიც ძველად ყოფილა აყვავებული და ეხლაც ეტყობა, სადაც გაფანტულია ტყეებში ნასახლარები, ქვევრები, ნაწისქვილარები, წისქვილის ქვები, ეკლესიები; ეტყობა აგრეთვე ნაგზაურებს, არხებს, სახნავ ძეგლებს და მიჯნებს, მხოლოდ ყოველივე ეს დაფარულია ულრანი ტყეებით.

როგორც ამ 200 300 წლის წინად აქ სიცოცხლე სჩქეფდა, ისე ეხლა იწყობა იმ ნასოფლარებში ხელ-ახალი სიცოცხლე.

მაღლა დაღესტნის მთებზედ საზაფხულო საძოვრებია, სადაც მიერეკებიან ცხვარსა ქიზიყიდან, კახეთიდან და სხ ლეკებიც ეტანებიან ამ საძოვრებს, საზღვარს გადმოდიან, ზოგიერთ ადგილებს ჩემულობენ კიდეც და ზევრჯელ ჩვენ მემცხვარეებს უხდებათ მათთან შეტაკება.

სხვათა შორის დაშკოვ-ვორონცოვს სიძეს დემიდოვს დაჩენებული ჰქონდა ლაგოდეხთან „ქოჩალოს“ და „ნავესწყდების“ მთებზედ საძოვრები და სანადირო ადგილები, არავის ახლო არ გააკარებდა, ლეკებს კი ქირით აძლევდა. ამ რიგად დღესაც ლეკები ეპატრონებიან ამ ადგილებს, თუმცა კი საქართველოს საზღვრებში შემოდის.

4. **ქიაურის მამული.** სივრცით არის 38,949 დეს. ს მამული ხაზინას ეკუთვნოდა და რუსის მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

ალ. ხატისოვს უნდოდა ჩაესახლებინა სომხები და ამის შესახებ დაშკოვ ვარანცოვს თავისი მოსაზრებანი წარუდგინა, ვარანცოვი მხოლოთ მაშინ მიხვდა ამ მამულის მნიშვნელობას და მისი მოსაზრებანი თავისთვის გამოიყენა *), ესე იგი, რუსების გადმოსახლება საქართველოს მიწა-წყალზედ გააჩაღა და ამ მხარეში ერთი სოფლის მაგიერ თავისი სახელი ხუთ სოფელს უწოდა. გრაფოვკა, ილარიონოვკა, დაშკოვკა, ვარანცოვკა, და ივანოვკა. შემდეგ შენდებიან სხვა სოფლები: ალექსეევკა, რომანოვკა და ელისავეტოვკა. მიხაილოვკა **) და სლაბოდკა უფრო ადრეა გაშენებული.

1906 წლიდან 1910 წლამდის მოხდა ამ ზემორე სოფლების ჩასახლება. მამული იმდენი მიუზომეს, რომ რაც თ თონ არ სჭირდებოდათ ქართველებზედ აქირავებდნენ (ლაგოდეხელებზედ, კავშირელებზედ) დესეტინას 80—100—120 მანეთად.

როდესაც რუსის მთავრობამ დაიწყო ხახოლების ჩასახლება, სოფელ შრომა-კავშირს შეუზღუდა სივრცე მამულისა, მათი გამინდვრებული მამული ზომით 250 დეს. ჩამოართვა და გადასცა ალექსეევკელებს.

აგრეთვე ძაწიმზედ აჭყარა დასახლებული ქართველები, მათი ცოლშვილი კაზაკებმა სახლებიდან გამორეკეს და მათ ადგილზედ ჩაასახლეს ხახოლები, სოფელს უწოდეს „ელისავეტოვკა“ ლაგოდეხსაც ჩამოსჭრა ადგილი და „რომანოვკას“ მიუზომა. ამ ორი სოფლის დასახლება მოხდა 1909—1910 წლებში.

---

*) გაგონილია რუსის სოფლებში.

**) მიხაილოვკა გაშენებულია 1860 წლებში, მაშინ მიჰ. ამირეჯ. იმ ადგილას, სადაც ეხლა მიხაილოვკაა, ჯარის კაცებს სწვრთნიდა, დაასახლა ეს ჯარის კაცების ოჯახები და სახელად უწოდეს თავის კომანდირის სახელი „მიხაილოვკა“. გაგონილია სოფ. მიხაილოვკაში.

მაგრამ ვინ უწყოდა, რომ განგება მათ მოსთხოვდა ანგარიშს?

მაგრამ წინ ნუ მივდივართ, აღვნიშნოთ კიდევ მათი უსამართლობის კანონები.

რუსის მთავრობა ამ ძალ-მომრეობას არ ჰკმარობს და ადგენს სახელმძღვანელოს დასახლებულ რუსებისათვის:

აი ეს სახელმძღვანელოც.

„Правила. § 11. Такъ какъ участки изъ земель могутъ быть отводимы исключительно только лицамъ русскаго происхожденія, а по 6 пун. 432 ст Х. т. I ч. св' зак' пр. устанавливаетъ не полное право собственности, дозволяя отдѣлять отъ такого права распоряженія, то лица получившія данныя на право владенія отводимыми имъ участками, могутъ продать, дарить или же завѣщать таковые съ возведенными на нихъ постройками исключительно только лицамъ русскаго происхожденія, очемъ оговаривается въ данной“.

ეს სახელმძღვანელო რუსის მთავრობის ვერაგობის ნიმუშია და იქამდის მიდის, რომ საშვილიშვილოდ უტოვებს გადმოსახლებულებს ისეთ სახელმძღვანელოს, რომლითაც შეთანხმება შეკავშირებას მკვიდრ მცხოვრებლებთან შეუძლებლად ჰხდის. მაგრამ არ დასცალდა მას ეს უსამართლო პოლიტიკური გეზის განგრძობა და მიიღო ის, რასაც ეწეოდა ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველების წინააღმდეგ.

Legatus.

(შემდეგი იქნება).

---


# მიმოსვლა

## სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სალ. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | სალ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | სალ | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

| | | |
|---|---|---|
| № 8 | სალამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | სალამოს | 9 ს. 50 წ. |

**მოდის სალოღლიდან.**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გადის**

| | | |
|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. 26 წ. |

**მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. 24 წ. |
| № 64 | სალ. | 8 ს. 4 წ. |

**თბილისი-ხანაინი**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო ტვირთის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

---

ექიმ ი. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული

## ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: **სისხლს** (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს რძეს, ღორწს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ ვაქცინას ამზადებს.**

26 მაისის (ოლღას) ქუჩა, გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და სალამოს 5—7 საათ.

15—26988—1

---

მედიცინის დოქტორი

## გ. ა. ახვერდოვი

ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., სალამოთი 5—7 საათ. ქ-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.

50—2559—1

---

## საექიმო კაბინეტი

## ექ. ა. ტყეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე სალამოს 6—7 ნახევარ საათ

25—2536—1

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და ...სევალის ...კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და სალამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

## მეგრელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ის და 606-ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და სალამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.